კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მაგისტრანტი: ნინო სორდია

სამაგისტრო ნაშრომი:

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისათვის

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი:
ალექსანდრე გიორგიძე

თბილისი 2019

ანოტაცია

კაცობრიობა ცდილობდა და დღესაც ცდილობს გაუმკლავდეს ნარკოტიკულ დანაშაულთან უმძიმეს ბრძოლას.მისი წარმოშობის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით რომ ყველა დროის თანამედროვენი თავიანთი ძალების და შესაძლებლობების შესაბამისად,ავად თუ კარგად ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ნარკოტიკულილ დანაშაული.ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მკაცრი სადამსჯელო პოლიტიკით ცდილობს დაარეგულიროს ეს სფერო,ზოგიერთი უფრო ლოიალური დამოკიდებულების შენარჩუნებას ემხრობა,მაგრამ ფაქტი ერთია, რომ ამ ყველაფერს ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება.

გასული საუკუნის დასაწყისიდან საერთაშორისო საზოგადეობა ცდილობს გააკონტროლოს ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა,აღკვეთოს მისი უკანონო გავრცელება,შეამციროს მისი მოხმარება უკანონოდ,ამისათვის მიიღო არაერთი საერთაშორისო კონვენცია თუ აქტი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ.

ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება ძალიან დიდი ზიანის მომტანია ადამიანის როგორც ფიზიკური ისე ფსიქიკური ჯანრმთელობისთვის.მის მოხმარებას უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისთვის აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.სწორედ ამიტომ,სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საჭიროა მოხდეს ზუსტი კვალიფიკაციის მიცემა ამ სახის დანაშუალისთვის.ასევე აუცილებელია,ნარკოტიკული დანაშაულის მომწესრიგებელი ნორმების სწორი განმარტება თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა მიერ.

Annotation

Criminal Liability for illegal purchase and Keeping of narcotic drugs

Sordia Nino

Humanity has always tried and is still trying to cope with the hardest fight with drug offenses. If we look through at the history of its origin, we will be assured that all the time contemporaries, according to their forces and capabilities, they were seriously trying to eradicate narcotic crimes. The legislation of some countries is trying to regulate this area with strict punitive policies; some are in favor of maintaining loyalty, but the fact is the same, that all this needs a lot of effort.

Since the beginning of the last century, the international community has been trying to control illegal trade with drugs, to prevent its illegal distribution, reduce its illegal use, for this purpose has received many international conventions or acts against drug crime.

The use of narcotic substance is very damaging to human, to both physical and mental health. Lots of human lives are being sacrificed to its consumption.

The Criminal Code of Georgia establishes criminal liability for illegal purchase and keeping of drugs. That is why it is necessary to give the exact qualification for this type of crime for fair justice. Correct definition of norms regulating drug crime by the theorist and practitioners of the law is also necessary.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავლი---------- 6-8

თავი I

ნარკომანიის ისტორიის გენეზისი

1.1ნარკოტიკული დანაშაულის წარმოშობის ისტორია---------- 9-16

1.2ნარკომანიის განვითარება საქართველოში---------- 16-21

1.3ნარკოტიკული დანაშაულის რეგულირება სსრკ-ში---------- 21-24

თავი I I

ნარკომანიის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები და ეროვნული კანონმდებლობა

2.1ზოგადი მიმოხილვა---------- 5-26

2.2საქართველოს კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ ---------- 26-28

2.3საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების,ფსიოტროპული ნივთიერების,პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“---------- 28-29

2.4ნარკომანიის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები---------- 29-34

თავი III

პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის

3.1ნარკოტიკული დანაშაული---------- 35-36

3.2ნარკოტიკული საშუალების ცნება---------- 37-38

3.3სსკ-ის 260-ე მუხლი: დანაშაულის სუბიექტური მხარე---------- 38-39

3.4სსკ-ის 260-ე მუხლი:დანაშაულის ობიექტური მხარე---------- 39-44

3.4.1სსკ-ს 260-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებები---------- 45-56

3.4.2სსკ-ს 260-ე მუხლის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები---------- 56-59

3.5ნარკოტიკული საშუალების ნებაყოფლობით ჩაბარება---------- 59-61

თავი IV

სასამართლო პრაქტიკა

4.1 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება---------- 62-63

4.2უზენაესი სასამართლოს განმარტება---------- 64-65

დასკვნა---------- 67

შესავალი

ნარკოტიკული დანაშაული ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის.ნარკომანია და მასთნ დაკავშირებული პრობლემები,მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო მტკივნეულ პრობლემათა შორის ერთ-ერთია.გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-20 სპეციალური სესიის პოლიტიკურ დეკლარაციაში პირდაპირ არის ნათქვამი: „ნარკოტიკული ნივთიერებები სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს კაცობრიობის ჯანმრთელობისთვის და კეთილდღეობისთვის, ქვეყნების თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარებისთვის,ერების სტაბილურობის, მილიონობით ადამიანებისთვის,ოჯახთა ღირსებისა და იმედებისთვის“.

ტერმინი „ნარკოტიკი“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს დამაძინებელს,გამაბრუებელს.ნარკოტიკული ნივთიერებები კაცობრიობისათვის ხელმისაწვდომი იყო უძველესი დროიდან.ნარკოტიკებს დიდი ხნის ისტორია აქვთ.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ნარკოტიკის მოხმარება არის კრიმინალიზებული,ნარკოტიკული დანაშაულისთვის გათვალისწინებულია სანქციები.საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადება,შეძენა,შენახვა,გადაზიდვა,გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის სანქციის სახით აწესებს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით ან, გამონაკლის შემთხვევაში,თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევი პიროვნების გათვალისწინებით ჯარიმის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული,ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 კარის-დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ,შემადგენელი

ნაწილია XXXIII თავი რომელიც ეხება ნარკოტიკულ დანაშაულებს.ნარკოტიკულ დანაშაულთა ცალკე თავად გამოყოფით ხაზი გაესვა იმ გარემოებას,რომ ისინი საზოგადოებისთვის წარმოადგენენ დიდ საშიშროებას და ყველა მათგანი დაკავშირებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებთან.

ნარკოტიკულმა დანაშაულმა მსოფლიოში ფართო მასშტაბები მოიცვა.სწორედ ამიტომ მიიღეს არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ.ამჟამად საერთაშორისო კონტროლს ახორციელებს სამი საერთაშორისო კონვენცია,რომლებსაც შეუერთდა პრაქტიკულად,მსოფლიოს ყველა ქვეყანა.ეს კონვენციებია: გაეროს 1961 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალების შესახებ“, გაეროს 1971 წლის კონვენცია „ფსიქოტოპული ნივთიერებების შესახებ“, გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტოპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.აღნიშნულ კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალების,ფსიქოტროპული ნივთიერებების,პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ (2002 წ. 5 დეკემბერი).ასევე 2007 წ. 3 ივლისს მიღებული იქნა კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ , რომელმაც არაერთხელ განიცადა დამატება და ცვლილება.

თემის აქტუალობა: ნარკომანია,საზოგადოების სოციალური დაავადება.მასთან ეფექტურად საბრძოლველად,საჭიროა მისი კარგად შესწავლა და ანალიზი.ნარკომანიასთან ბრძოლის დროს წარმოშობილი ყველა სირთულე და პრობლემა ობიექტურად უნდა იყოს შეფასებული.ფაქტია, რომ ინექციური და არაინექციური ნარკოტიკების მოხმარებით საქართველოში ადამიანები იღუპებიან და ნარკომანია ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა.

კვლევის მიზანია:ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების ანალიზი,თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების გაერთიანება,როგორც მათი კრიტიკა,ისე დადებითი მხარეების წარმოჩენა,პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების თავმოყრა,მათი შეპირისპირება და სწორი დასკვნების გამოტანა.

კვლევის საგანი:აღნიშნული ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვა სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით.ასევე,ნარკოტიკული დანაშაულის მომწესრიგებელი ნორმების განმარტება ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნების მოშველიებით.

კვლევის მეთოდები:კვლევის მიზნების მისაღწევად,გამოყენებულია კვლევის თვისობრივი,ისტორიული,ლოგიკური და შედარებით - სამართლებრივი მეთოდები,რაც საბოლოოდ მკითხველს შეუქმნის სრულ სურათს ნარკოტიკული საშულებების უკანონო შეძენა-შენახვასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

ნაშრომის თეორიული საფუძველია მეცნიერული ნაშორმები სისხლის სამართალში.ნაშრომის ნორმატიულ ბაზას შეადგენს ნარკომანიის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები (კონვენციები), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების,ფსიქოტროპული ნივთიერებების,პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“.

ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა-ნაშრომი შედგება ანოტაციის,შინაარსის(სარჩევის), შესავლის,4 თავის,14 ქვეთავის,დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

თავი I

ნარკომანიის ისტორიის გენეზისი

1.1 ნარკოტიკული დანაშაულის წარმოშობის ისტორია

ყოველ მოვლენას აქვს თავისი ისტორია.გამონაკლისი არც ნარკომანიაა.მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ზოგადად დადგენილია,რომ ნარკოტიკი, ეს „ნივთიერება ან ნივთიერებათა ნაზავია,რომელიც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს და რომელთა მიღებასაც თან სდევს ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების ცვლილებები და შესაძლოა ორგანიზმის სტრუქტურის ცვლილებაც.[1]

ადამიანები ყოველ კულტურასა და ცივილიზაციაში მიმართავდნენ მაგიურ მცენარეებს, მაგრამ არა საკვებად! ისინი მათ სიხარულის მცენარედ მოიხსენიებდნენ და სიამოვნების წყაროდ მიაჩნდათ.მცენარეები ზეგავლენას ახდენდნენ ადამიანების გუნება-განწყობილებაზე,ხალისი შეჰქონდათ მათ სიზმარ - ოცნებებში,განმუხტავდნენ, რათა დროებით მაინც გარიდებოდნენ ულმობელ გარესამყაროს ან პირიქით - აზრი მოეკრიფათ,მხენობა შემატებოდათ და წინ აღდგომოდნენ ცხოვრებისეულ ორომტრიალს.ისტორიამ აჩვენა, რომ მაგიურ მცენარეთა ხმარება მუდმივად დაკავშირებულია ხალხთა კულტურებთან და მათი ტრადიციებიდან გამომდინარე სუბიექტურობასა და რწმენასათან, არაიშვიათად, დიამეტრულად საწინააღმდეგო ეფექტით.[2]

ნარკოტიკული ნივთიერებები კაცობრიობისათვის ცნობილი იყო და გამოიყენებოდა,როგორც სამკურნალო ისევე „გამაბრუებელი“ საშუალება,ჯერ

---

[1] მოსულიშვილი ა. ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009.გვ 14

[2] ჯანაშია ჯ. XXI საუკუნის გამოწვევა.თბ 2002. გვ 60

კიდევ შორეულ წარსულში.ი.ნ. პიატნიცკაიას სიტყვებით[3] „ოპიუმი კაცობრიობისთვის ცნობილია არანაკლებ ექვსი ათასი წლის განმავლობაში“.[4]

ნარკოტიკებს შორეული წარსულის ისტორია აქვს.ნარკოტიკების ისტორიული გზა დრამატიზმითაა სავსე.მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნარკოტიკი აღმოჩენილი იქნა სამხრეთ ევროპაში,ბოდენის ტბისათან,არქეოლოგიური გათხრებისას.ამ გარემოებამ ისტორიკოსებს მისცა საფუძველი,ევარაუდათ,რომ ნარკოტიკული მცენარეების პლანტაციები, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო ცნობილი.მათი უძველესი კვალია აღმოჩენილი დღევანდელი შვეიცარიის ტერიტორიაზე.მეცნიერები თვლიან,რომ მას იყენებდნენ ქვედა მესოპოტამიის მიწებზე მცხოვრები შუმერები, ჯერ კიდევ, ხუთი ათასი წლის წინათ(ამჟამად ეს თანამედროვე ერაყის ტერიტორიაა).[5]

ისტორიაში ფსიქოტროპული თვისებების მქონე მცენარის შესახებ ნახსენებია ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ და ეს მცენარე იყო ყაყაჩო,რომელსაც იყენებდნენ შუმერები.არქეოლოგიური გათხრებისას შუმერულ ნაქალაქარებში აღმოჩენილი იქნა ოპიუმის დამზადებისა და გამოყენების წესი,რომელიც თიხაზე იყო ამოტვიფრული.როგორც ჩანს ოპიუმის გამოყენება ასევე არ იყო უცხო ადრეული ეპოქის ბერძნული კულტურისთვის.იმ პერიოდის მკერნალთა ღმერთის ქანდაკების თავს ამკობდა ყაყაჩოს სამი კოლოფი.[6]

ბერძნები საძილე ყაყაჩოს ჯერ კიდევ 3-4 ათასი წლის წინათ იყენებდნენ.ანალოგიური სახის ცნობები შემონახულია ჰომეროსის „ოდისეაში“ .საძილე ყაყაჩოს და ოპიუმს, როგორც ძლიერმოქმედ საშუალებებს, აღწერენ ბერძენი ისტორიკოსები და მედიკოსები:ჰიპოკრატე,არისტოტელე,ვირგილიუსი.ზოგიერთი მკვლევარის

---

[3] იხ. И. Н. Пятницкая, „Клиническая наркология“, Л. 1975 გვ.57

[4] გაბიანი ა.ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები.თბ 2012.გვ9

[5] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009.გვ 14

[6] იქვე. გვ 15

მტკიცებით დიდი ტაჯიკი მოაზროვნე და ფილოსოფოსი იბნ-სინა ოპიუმით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა.[7]

ყველაზე ძველი ისტორია ოპიუმის მოხმარებასთანაა დაკავშირებული.ევროპის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად ნაპოვნი ქვის ხანის ექსპონატები- ძველეგვიპტური ხელნაწერები, გვაწვდიან რიტუალურ-მისტიკურ ტრადიციებს „ყაყაჩოს“ მცენარესთან დაკავშირებით.ძველბერძნული ხელნაწერები, ჩვ.წ. აღრ-მდე V საუკუნის ძველებრაული თორა გვაუწყებს ამ ნარკოტიკის სამკურნალო თვისებებს ტანჯვის შესამსუბუქებლად. ამაზე თავის ეპოქაში წერდნენ ჰომეროსი,ჰეროდიტე,თეოფასტი,ჰიპოკრატე.ამ „წამალს“ იყენებდა ავიცენაც.[8]

შუა საუკუნეების პერიოდის ექიმები ფართოდ იყენებდნენ ოპიმს(ლაუდანუმი) ფსიქიკური აშლილობის, დეპრესიისა თუ სხვადასხვა ეტიოლოგიის სპაზმების დროს. მედიცინის მეცნიერულად განვითარებასთან ერთად,თანდათანობით ირკვევა საწინააღმდეგო, ოპიუმის მავნე ქმედების მაჩვენებელი.[9]

მე-19 საუკუნის ბოლოს, ევროპაში ნარკომანიის სხვადასხვა ფორმები მეტად შესამჩნევ სოციალურ მოვლენად ხდება.[10]

დაპყრობითი ლაშქრობების, ხალხებს შორის სავაჭრო ურთიერთობების აქტივაციამ და კულტურულმა ურთიერთობამ, ყველაფერთან ერთად, ისიც განაპირობა, რომ ნარკოტიკების გამოყენების ტრადიციებმა შეაღწიეს ახალ ტერიტორიებზე.მაგალითად,მარკო პოლოს ჯვაროსნული ლაშქრობებისა და მოგზაურობების დროს ევროპელებმა გაიგეს, თუ რა იყო შორეულ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ოპიუმი და ჰაშიში.მოგვიანებით დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში და ევროპელების მიერ ახალი

---

[7] გიგიტაშვილი ნ. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია.ჟურნალი „სამართალი“ N 7-8, 1998 წ.გვ 71

[8] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009.გვ15-16

[9] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009.გვ16

[10] იქვე. გვ17

კონტინენტების მიწების ათვისებამ,ცივილიზებული სამყარო გააცნო ახალ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს.[11]

ევროპაში ნარკოტიკების მოხმარების ტრადიცია ადრეული დროიდან მომდინარეობს.ბრიტანულ ისტორიულ არქივებში საინტერესო მასალებია ადმირალ ნელსონის საჩივრის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მისი ხელქვეითი მეზღვაურები ეწეოდნენ კანაფისაგან დამზდებულ ხომალდის თოკებს.[12]

მცენარე კანაფი პლანეტაზე ყველაზე გავრცელებული ბუნებრივი ნარკოტიკია.ამჟამად იგი კულტივირებულია მსოფლიოს 120-ზე მეტ ქვეყანაში.საინტერესოა კანაფის გავრცელების ისტორია, იგი თანმდევია ხალხთა მიგრაციებისა, რისთვისაც მცენარეს ადამიანების მდევარი შეარქვეს.[13]

შუა საუკუნეების ევროპაში, ნარკოტიკებით ვაჭრობა საკმაოდ მომგებიანი საქმე იყო.ოპიუმი ძირითადად შემოდიოდა და ვრცელდებოდა თურქეთიდან და არაბეთიდან, ხოლო საქმიანმა ინგლისელებმა ინიციატივა განავითარეს და შემდგომში, თვითონ გახდნენ მსოფიოში ნარკოტიკების მასიურად მწარმოებელი ქვეყნის წარმომადგენლები.ბრიტანელებმა თავისი კოლონიების ტერიტორიაზე, მაგალითად, ინდოეთში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყეს ნარკოტიკის მასიურად მოყვანა პლანტაციებზე და ხელი მიჰყვეს ოპიუმის დიდი ოდენობით წარმოებას.ყოველივე მზადდებოდა მეზობელ,მუსლიმურ ქვეყნებში გადასატანად, განსაკუთრებით კი გაჰქონდათ ჩინეთში.[14]

XVI საუკუნის მიწურულს, როცა რუსეთის პირველი კოლონიები აზიურ ტერიტორიაზე დაფუძნდა,ისინი უკვე კარგად იცნობდნენ ოპიუმის ორმაგ ბუნებას და ადამიანები მას სამკურნალოდ და დამამშვიდებელ საშუალებად

---

[11] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009. გვ20

[12] იქვე. გვ 21

[13] ჯანაშია ჯ. XXI საუკუნის გამოწვევა, თბ 2002წ. გვ 64

[14] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009.გვ21-22

მოიხმარდნენ.ხელისუფლება ღელავდა მისი ეფექტის გამო,რადგან იგი სულ უფრო და უფრო დიდი მასების გონებას ეუფლებოდა.[15]

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მეცნიერება უფრო იხვეწება.შესაძლებელი გახდა ნარკოტიკების ახალი სახეების შექმნა, გამარტივდა მცენარეებისაგან ძლიერმოქმედი ნარკოტიკის მიღება.პირველი ნაბიჯი გადაიდგა 1803 წელს.კერძოდ,ერთ-ერთმა ჰანოვერელმა აფთიაქარმა ფრიდრიხ სერტუნერმა შეძლო ოპიუიმის დაშლა და კრისტალური ფხვნილის მიღება,რომელიც ოპიუმზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.პრეპარატს,მან ძველბერძნული ღმერთის საპატივცემლოდ დაარქვა,სახელი, „ორფინი“. 1853 წელს ინექციისთვის უკვე იყენებდნენ შპრიცს რამაც, ხელი შეუწყო ნარკოტიკების უახლოეს ისტორიაში ახალი ეტაპის, დაწყებას.[16]

მე-19 საუკუნის ბოლოს,1898 წელს, გერმანელმა ფარმაცევტმა ჰენრიხ დრეზერმა, რომელიც ასპირინის გამომგონებელია,მორფინის დამუშავებისას,მიიღო ახალი ქიმიური ნაერთი,დაახლოებით ათჯერ უფრო ძლიერი, ვიდრე მორფინი.ეს იყო ჰეროინი.თავდაპირველად, ამ გარემოებას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა,მედიცინის მუშაკები მას თერაპევტულ პრაქტიკაში იყენებდნენ,როგორც ხველების,ტკივილგამაყუჩებელს და სხვა.[17]

საფრანგეთში ყველაფერი დაიწყო მე-19 საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს,ორმოციანი წლების დასაწყისში,როდესაც ფრანგი ექიმი მორო დე ტური დაბრუნდა ალჟირიდან და თავის მეგობრებს შესთავაზა გაესინჯათ ჰაშიშისგან დამზადებული ნამცხვარი.ამ გარემოებას მოჰყვა გასაოცარი ეფექტი, განსაკუთრებით, ლიტერატორთა წრეებში.ჰაშიში ფართოდ გავრცელდა პარიზის საზოგადოებაში.[18]

ძალიან საინტერესო და მრავლისმსწავლელია ნარკომანიის განვითარების ისტორიის განხილვა ჩინეთში.ოპიოდური ყაყაჩოს გამოჩენის

---

[15] ჯანაშია ჯ. XXI საუკუნის გამოწვევა. თბ 2002წ. გვ 161

[16] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009.გვ22-23

[17] იქვე. გვ23

[18] იქვე. გვ22

და განვითარების გარემოებები ნათლად ჩანს მრავალ უძველეს სამედიცინო ტექსტში.ოპიუმი ჩინეთში თავდაპირველად,ძირითადად,ინდოეთიდან შემოედინებოდა.თავდაპირველად, ჩინეთშიც ხდებოდა თამბაქოს ოპიუმთან ერთად მოწევა,მაგრამ შემდეგ ხდებოდა მხოლოდ ოპიუმს ეწეოდნენ.ამ გარემოებამ მოიცვა ჩინეთი,რასაც,შემდგომში,კატასტროფული შედეგები მოჰყვა.[19]

1729 წელს იმპერატორმა იუნგ ჩანგმა და 1800 წელს იმპერატორმა კია კონგმა აკრძალეს ოპიუმის გაყიდვა მოწევის მიზნით.მიუხედავად ამისა,ინგლისი და ჰოლანდია მოგების მიზნით,კვლავ აგრძელებდნენ ჩინეთში კონტრაბანდული გზით ოპიუმის შეტანას.

1830 წლიდან, მხოლოდ შვიდი წლის განმავლობაში,ინგლისის ოპიუმის ექსპორტი ჩინეთში 120 ტონიდან გაიზარდა დაახლოებით 2500 ტონამდე.ასეთი მასშტაბი კი,არცერთ თანამედროვე ნარკოკარტელს არც კი დაესიზმრებოდა.ჩინეთში, ფაქტობრივად, შეჩერდა სხვა საქონლით ვაჭრობა,ქვეყნიდან ვერცხლის გადინებამ გამოიწვია ფინანსების დეზორგანიზება.ამ სენით დაავადდა მილიონობით ჩინელი.

ჩინეთის სახლემწოფოში მმართველმა პირებმა გაათვითცნობიერეს ,რომ მათ შორის,უკვე ნახევარზე მეტი ადამიანი იყო დაავადებული ამ სენით.სახელმწიფო ინსტიტუტები და მათ შორის სახელმწიფო გვარდიაც კი,დეზორგანიზებული გახდა.ჩინეთში,ოპიუმის მოხმარებისათვის სასჯელები ეფექტური არ იყო.იმპერატორმა გადაწყვიტა ნარკოვაჭრობისათვის მიეყენებინა სერიოზული დარტყმა.კონტონში 1893 წელს დაიწყო ოპიუმის მასობრივი კონფისკაცია,ხოლო ოპიუმის გადამზიდავ გემებს ზღვაში ძირავდნენ.ბრიტანეთმა დაიწყო ომი,ვითომდა იმ მიზეზით,რომ დაცული უნდა ყოფილიყო „ვაჭრობის წმინდა უფლებები“.ჩინეთმა ვერ გაუძლო სამხედრო და ეკონომიკურ წნეხს და იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.ინგლისელებისთვის კვლავ გაიხსნა ჩინეთის უდიდესი პორტები,მათ მიიღეს კუნძული სიანგანი,სადაც შემდგომში გაიზარდა მათი

[19] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009.გვ24

კოლონია ჰონკონგი.გამარჯვებულებმა პირობა დადეს,რომ აღარ გააგრძელებდნენ ამ შხამით ვაჭრობას,მაგრამ ეს პირობაც არ შესრულდა.ახალი ომის შემდეგ ჩინეთმა დაუშვა ოპიუმის იმპორტი,სანაცვლოდ კი მას ბაჟის მოთხოვნის უფლება მისცეს.[20]

ჩინეთთან,ინგლისის მაგალითის მსგავსად, ხელშეკრულებები გააფორმეს საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.ამ გარემოებას მოჰყვა ის,რომ ჩინეთი,უფრო ღრმად,ჩაეფლო ნარკოტიკებში.[21]

დიდი დროის განმავლობაში ჩინეთის სხვადსხვა ხელისუფლება ცდილობდა ბრძოლას,ღრმა ფესვგადგმულ ნარკომანიის ამ ფორმასთან.ჩინეთის ხელისუფლების ყველა მცდელობა სრული კრახით დასრულდა,ასე გრძელდებოდა 1950 წლამდე,როდესაც კომუნისტურმა ხელისუფლებამ მიიღო უსასტიკესი ანტინარკოტიკული კანონი.ოფიციალური ინფორმაციით, დაახლოებით 80 000 ადამიანი იყო დაპატიმრებული,ბევრი მათგანი კი დახვრეტილი.თანამედროვე ჩინეთის ანტინარკოტიკული კანონმდებლობა,ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონმდებლობაა მსოფლიოში.[22]

ევროპისა და ამერიკის ტერიტორიებზე ნარკოტიკების მოხმარებასა და გვარცელებას, კიდევ ერთი მასიური,მძლავრი ბიძგი მისცა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში.ეს პერიოდი ხასიათდება საზოგადოებაში რამდენიმე რევოლუციური გარდაქმნით,კერძოდ,საზოგადოების აზროვნებასა და მათ შეხედულებებში გამოწვეული ცვლილებებით,ამ პერიოდში ხდება „სექსუალური რევოლუცია“, რამაც, გარკვეული სახით,ხელი შეუწყო ნარკოტიკების გარცელებას.საზოგადოების ცხოვრებაში გავრცელდა როკ მუსიკა და სხვა მრავალი ინოვაცია.განსაკუთრებით საინტერესოა ამ პერიოდის ახალგაზრდობა,რომელიც მეტად ნეგატიური შეხედულებებისაა საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ მოვლენასთან დაკავშირებით.ამ რადიკალურმა დაპირისპირებამ განაპირობა კონფლიქტი სხვადასხვა

[20]მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009.გვ25
[21] იქვე. გვ26
[22] იქვე. .გვ27

თაობების შეხედულებებს შორის.ყოველივე კი,თავის მხრივ,გზას უხსნიდა ნარკოტიკებს და მათ მასიურ გამოყენებას.[23]

80-იანი წლების ბოლოს მსოფლიო პოლიტიკა ახალ სიურპრიზებს გვთავაზობს.პოსტკომუნისტურ სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა,საზღვრების გახსნამ, ყოფილი საბჭოთა კავშირის,განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 600 მილიონამდე მოქალაქეს მთელი ევროპის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცა.ეს კი ახალი იმპულსი იყო ორგანიზებული დანაშაულის,მათ შორის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მკვეთრი ზრდისათვის.ძალიან მცირე დროში ნარკოტიკების უდიდესმა რაოდენობამ მოიყარა ევროპა- აზიის გზაჯვარედინზე, თვით ევროპა კი შეიძლება გზათა გამყოფს შევადაროთ,რომელმაც უნდა მიიღოს და გადაანაწილოს გარედან მიღებული პროდუქტი ბებერი კონტინენტის სხვადასხვა ბაზარზე ან ხელახლა გადაგზავნოს(რეესპედიქცია) მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში.[24]

უკვე აღნიშნულ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში, თითქმის 30 წლის წინანდელი მონაცემებით,მსოფლიოში არალეგალურად წარმოებული სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების დაახლოებით 60%-ს შეერთებული შტატების მოსახლეობა მოიხმარდა.[25]

1.2 ნარკომანიის განვითარება საქართველოში

რამდენადაც საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე აღმოსავლეთის გამუდმებულ შემოსევებს განიცდიდა,ამ ქვეყნებს ბატონობასთან მოჰქონდათ მანკიერი თვისებები თუ წეს-ჩვეულებები.ერთ-ერთი ასეთი ავადმყოფობა იყო თრობა ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით.საქართველოში მან მასიურად ვერ მოიკიდა ფეხი,მხოლოდ დიდგვაროვანთა გარკვეული წრე

[23] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009. გვ30-31
[24] ჯანაშია ჯ. XXI საუკუნის გამოწვევა, თბ 2002წ. გვ 159
[25] გაბიანი ა. ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები. თბ 2012წ. გვ 10

ეტანებოდა „თრიაქით თრობას“, ისიც ალბათ,აზიელი დამპყრობლების საამებლად. „თრიაქით თრობა“ საფიქრებელია, არ იყო დიდი საშიშროების შემცველი,ფართოდ გავრცელებული დანაშაული საქართველოში.ამიტომაც არ არის ქართული სამართლის ძეგლებში ასახული მის წინააღმდეგ ბრძოლა, მაშინ, როცა ქართული სამართალი (საერო და საეკლესიო) მთელი სიმძაფრით ებრძოდა ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა ადამიანთა მოპარვა,მეკობრეობა,სიძვა და ა.შ. უფრო მეტიც, ქართული სამართალი ითვალისწინებდა სასჯელს ლოთობისთვისაც კი.ნარკომანია ჩვენს ქვეყანას მე-20 საუკუნის გარიჟრაჟიდან დაემუქრა, რაც ფაქტობრივად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას დაემთხვა.ნარკომანიის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი ბრძოლის ისტორიაც ამ პერიოდიდან იწყება.[26]

საბჭოთა სს კანონმდებლობა, ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ იცვლებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად. „მართლაც,ყოველი კანონი სრულად მაშინ მოქმედებს,როცა იგი კონკრეტულ ისტორიულ პირობებს შეესაბამება“. [27]პირველი სისხლის სამართლის კოდექსები (საქართველოს 1922 წლის სსკ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსები) არ შეიცავდნენ სპეციალურ ნორმას,რომელიც პირდაპირ ითვალისწინებდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთა ჩადენისათვის.საქართველოს სს კოდექსის მე-8 თავში, „ადამიანის ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესების დარღვევა“ , შემავალი საერთო ნორმის (მუხლი 221) მიხედვით, სათანადო უფლების არმქონე პირის მიერ შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების დამზადება ისჯებოდა იძულებითი სამუშაოებით, ან ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი.ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკები, მართალია საგანგებოდ არ იყო მითითებული, მაგრამ მათ მოიცავდა „ძლიერმოქმედი ნივთიერებების“

[26] გიგიტაშვილი ნ. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია. ჟურნალი „სამართალი“ N7-8, 1998წ. გვ71

[27] Карпец И. И. Конституция СССР и тенденция развития уголовного права.“Советское государство и право“ 1977 №12 с 42

ცნება.ამიტომ მოსამართლეები ნარკოტიკების უკანონო დამზადებას აკვალიფიცირებდნენ სწორედ აღნიშნული მუხლით.[28]

სსრკ-ის შექმნის შემდეგ მიღებული იქნა რიგი ნორმატიული აქტებისა,რომლებიც არეგულირებდნენ ნარკოტიკებით ვაჭრობას,მათი გამოცემის და აღრიცხვის წესებს.სსრკ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით, - „არასამკურნალო დანიშნულებით გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით“, დადგინდა სახელმწიფო მონოპოლია ოპიუმის შესყიდვაზე, გადამუშავებასა და გასაღებაზე. ხოლო სსრკ საკავშირო ცენტრალური აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს „ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობის რეგულირების ზომების შესახებ“ 1928 წლის 23 მაისის დადგენილების შესაბამისად აიკრძალა კოკაინის,ჰაშიშის,ჰეროინისა და სხვა ნივთიერებების თავისუფალი ბრუნვა.[29]

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ საქართველოს საბჭოთა პერიოდის სს კანონმდებლობის განვითარების ისტორია პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს:პირველი ეტაპი-საქართველოს 1922 წლის სს კოდექსის, შემდეგ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღების მომენტიდან 1960 წლის ახალი სს კოდექსის მიღებამდე ჩვენთვის საინტერესო დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული სს კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და შემდგომი სრულყოფის პერიოდი.1926-28 წლებში გადაისინჯა და მიღებული იქნა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები.საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის 1928 წლის რედაქცია,მოთავსებული II თავში-„მმართველობის წესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები“, ითვალისწინებდა სს პასუხისმგებლობას კოკაინის,ოპიუმის,მორფინის,ეთერისა და სხვა გამაბრუებელი ნივთიერებების დამზადებისათვის ან შენახვისათვის, აგრეთვე თვით გასაღებისათვის სათანადო ნებართვის გარეშე.სისხლის სამართლის ეს ნორმა ამ სახით

[28] გიგიტაშვილი ნ. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია. ჟურნალი „სამართალი“ N7-8, 1998წ. გვ72

[29] იქვე გვ72

მოქმედებდა 30 წელზე მეტ ხანს,რესპუბლიკის ახალი სს კოდექსის მიღებამდე.[30]

მეორე ეტაპი- საქართველოს 1960 წლის (მოქმედი) სს კოდექსის მიღებიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის 1974 წლის 25 აპრილის,შემდგომ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის 1974 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებათა მიღებამდე.ნარკომანიის ფართოდ გავრცელებამ მოითხოვა მის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი სისხლის სამართლის წესით ბრძოლის მეთოდების გამოყენება.აქედან გამომდინარე,გაძლიერდა ბრძოლა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ.დაწესდა სს პასუხისმგებლობა ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისათვის,ძალაში შევიდა დანაშაულთა ახალი შემადგენლობები,მოხდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემდგომი დიფერენციაცია,დაწესდა ახალი მაკვალიფიცირებელი ნიშნები,არსებითად გაიზარდა სს კოდექსის შესაბამისი მუხლების სანქციები.მესამე ეტაპი-1974 წლიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის 1987 წლის 22 ივნისის,შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის 1987 წლის 23 სექტემბრის ბრძანებულებათა მიღებამდე.ამ პერიოდში ნარკომანიის გავრცელება სულ უფრო საშიშ ხასიათს იძენს.ამიტომ ეს პერიოდი ხასიათდება ნარკოტიკების უკანონო დამზადების,შეძენის და გასაღების მიზნით სხვა ქმედებებისათვის სს პასუხისმგებლობის მაქსიმალური გაძლიერებისა და გამკაცრების ტენდენციით,ამასთან წესდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მცირე რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო შეძენის,ან გასაღების მიზნის გარეშე შენახვისათვის პირველ შემთხვევაში.აქცენტი გადადის ნარკომანიით დავადებულთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე და მათ მიერ ახალი დანაშაულთა თავიდან აცილებაზე.[31]

საქართველო , როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში გარკვეულწილად იზოლირებული იყო მსოფლიოს

[30] გიგიტაშვილი ნ. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია. ჟურნალი „სამართალი“ N7-8, 1998წ. გვ75

[31] მოსულიშვილი ა.ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები.თბ 2009. გვ76

განვითარებული ქვეყნებისაგან.იმდროინდელ საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მასშტაბები ზრდის ტემპებით ათეული წლების მანძილზე „ჩამორჩებოდა“ ამ ჭეშმარიტად დიდი სოციალური ბოროტების გავრცელების მასშტაბებს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში.საქართველოში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მასშტაბების ზრდამ საშიშ ნიშნულს მიაღწია დაახლოებით გასული საუკუნის 60-იან წლების მეორე ნახევარში,მაგრამ, როგორც ეს ქართულ ხასიათშია, სამწუხაროდ, ქართველმა ახალგაზრდებმა ისეთი ცხოველური ინტერესი გამოიჩინეს ამ „აკრძალული ხილის“, ანუ ნარკოტიკების ინტენსიური მოხმარებისადმი, რომ სულ რაღაც 8-10 წლის განმავლობაში დაეწივნენ და გაუსწრეს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ,ისეთ ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების მოხმარების თვალსაზრისით ტრადიციულ შუა აზიის რესპუბლიკებს,როგორიც არის,მაგალითად,უზბეკეთი.[32]

ნარკოტიკულმა დანაშაულმა უკვე საერთაშორისო მასშტაბები მიიღო და ამდენად,მის წინააღმდეგ ბრძოლაც გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს.ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ.ამ კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალების,ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ (2002 წ. 5 დეკემბერი). ასევე 2007 წ. 3 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ , რომელმაც არაერთხელ განიცადა დამატება და ცვლილება.[33]

---

[32] გაბიანი ა. ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები. თბ 2012წ. გვ 12

[33] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ16-17

1.4ნარკოტიკული დანაშაულის განვითარება სსრკ-ში

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ საქართველოს საბჭოთა პერიოდის სს კანონმდებლობის განვითარების ისტორია პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს:პირველი ეტაპი- საქართველოს 1922 წლის სს კოდექსის, შემდეგ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღების მომენტიდან 1960 წლის ახალი სს კოდექსის მიღებამდე.პირველი სისხლის სამართლის კოდექსები (საქართველოს 1922 წლის სსკ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კოდექსები) არ შეიცავდნენ სპეციალურ ნორმას,რომელიც პირდაპირ ითვალისწინებდა სისხლის სამართვებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთა ჩადენისათვის[34].სსრკ-ის შექმნის შემდეგ მიღებულ იქნა რიგი ნორმატიული აქტებისა,რომლებიც არეგულირებდნენ ნარკოტიკებით ვაჭრობას, მათი გამოცემისა და აღრიცხვის წესებს.სსრკ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით - „არასამკურნალო დანიშნულებით გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით“, დადგინდა მონოპოლია ოპიუმის შესყიდვაზე,გადამუშავებასა და გასაღებაზე[35].ხოლო სსრკ საკავშირო ცენტრალური აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს „ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობის რეგულირების ზომების შესახებ“ 1928 წლის 23 მაისის დადგენილების შესაბამისად აიკრძალა კოკაინის, ჰაშიშის,ჰეროინისა და სხვა ნივთიერებების თავისუფალი ბრუნვა.[36]

1959-1961 წლებში მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსები.სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა სს კანონმდებლობა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ.საქართველოს სსკ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმმა 1969 წლის 30

---

[34] გიგიტაშვილი ნ. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია .ჟურნალი „სამართალი“ N 7-8, 1998 წ.გვ 72

[35] СЗ СССР, 1926, №58, ст. 424

[36] СЗ СССР, 1928, №33, СТ. 290

ივნისს მიიღო ბრძანებულება „ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაზე პასუხისმგებლობის დადგენის და ამ ნივთიერებების ქურდობის (დატაცების), უკანონოდ დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.[37]

1974 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ნარკოტიკული დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობის სფეროში საჭიროებდა სერიოზულ ცვლილებებს,იმდენად, რამდენადაც არ პასუხობდა აღნიშნულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს.მისი არასრულყოფილება განისაზღვრებოდა, აღნიშნულ დანაშაულთა გამო პასუხისმგებლობის განსხვავებულ რეგულირებაში.მაგალითად, აზ. სსრ, სომხ. სსრ, საქ. სსრ, ყაზ. სსრ, ყირგ. სსრ, ლატვ. სსრ, ლიტვ. სსრ, მოლდ. სსრ, ტაჯიკ. სსრ, უზბ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა ნარკოტიკების შეძენისათვის,ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსები პასუხისმგებლობას ითვალისწინებდნენ მხოლოდ გასაღების მიზნით მის შეძენაზე, მეტიც, რსფსრ სს კოდექსი საერთოდ არ გამოყოფდა დანაშაულთა შემადგენლობებს მაკვალიფიცირებელი ნიშნებით, ხოლო აზ. სსრ სს კოდექსში მოცემულ ქმედებათა მაკვალიფიცირებელი ნიშნები იყო განმეორებადობა და დიდი ოდენობა.ბელორ. სსრ და ტაჯიკ. სსრ კოდექსებში - სისტემატურობა, ლატვიისა და ესტ. სსრ სს კოდექსებში - რეწვა, მძიმე შედეგები და ა.შ. გარკვეული სხვაობები არსებობდა მუხლების სანქციებშიც.ზემოაღნიშნულმა განაპირობა ყოფილი სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის 1974 წლის 25 აპრილის „ნარკომანიასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, ხოლო შემდეგ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის 1974 წლის 30 სექტემბრის „საქ. სსრ საკანონმდებლო აქტებში ზოგიერთი ცვლილების და დამატების შესახებ“ ბრძანებულებათა მიღება[38]

---

[37] გიგიტაშვილი ნ. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია.ჟურნალი „სამართალი“ N 7-8, 1998 წ.გვ 73

[38] გიგიტაშვილი ნ. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია.ჟურნალი „სამართალი“ N 7-8, 1998 წ.გვ 74

ყოფილი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმმა 1987 წლის 22 ივნისს მიიღო ბრძანებულება „სსრკ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომელმაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მთელ ტერიტორიაზე მოახდინა ნარკოტიკული საშუალებათა უკანონო მოხმარების გამო პასუხისმგებლობის უნიფიცირება და ნარკოტიკული საშუალებების მცირე რაოდენობით შეძენის ან გასაღების მიზნის გარეშე შენახვის პირველ შემთხვევაში დაადგინა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.სს პასუხისმგებლობა დგება იგივე დარღვევისათვის, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.გარდა ამისა, პირი რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს ან მიმართავს სამედიცინო მიზნით გამოყენების გამო,თავისუფლდება სს პასუხისმგებლობისაგან ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებისათვის.ასევე, ჩაბარებული ან გამოყენებული ნარკოტიკების უკანონო შეძენის,შენახვის,გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის.სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის და საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებისადმი მითითებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სსრკ-ის უმაღლესი სასამართლო პლენუმზე არაერთხელ იქნა განხილული საკითხი ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების შესახებ.პლენუმმა ამასთან დაკავშირებით მიიღო რიგი შესაბამისი დადგენილებებისა: „ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების უკანონო დამზადებისა და გასაღების საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ – 1960 წლის 25 თებერვალს.ნარკოტიკული ნივთიერებების დატაცების,ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების უკანონო დამზადებისა და გასა[39]ღების საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ -1975 წლის 26 სექტემბერს.

[39] გიგიტაშვილი ნ. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია.ჟურნალი „სამართალი“ N 7-8, 1998 წ.გვ 75

თავი II

ნარკომანიის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები და ეროვნული კანონმდებლობა

2.1 ზოგადი მიმოხილვა

ნარკოტიკულმა დანაშაულმა უკვე საერთაშორისო მასშტაბები მიიღო და ამდენად,მის წინააღმდეგ ბრძოლაც გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს.ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ.ეს კონვენციებია: გაეროს 1961 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალების შესახებ“ , გაეროს 1971 წლის კონვენცია „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ , გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ უკანასკნელს დართული აქვს I და II ცხრილი,სადაც ჩამოთვლილია ის ნივთიერებები,რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო დამზადებისას და,ამდენად, მათზე საჭიროა კონტროლის დაწესება.[40]

აღნიშნულ კონვენციებზე დაყრდნობით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალების,ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ (2002 წ. 5 დეკემბერი). ასევე 2007 წ. 3 ივლისს მიღებული იქნა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელმაც არაერთხელ განიცადა დამატება და ცვლილება.[41]

---

[40] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ16

[41] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ17

2.2 საქართველოს კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“

საქართველოს კანონით (მუხლი მე-2 პუნქ. პირვ.) „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე, რომლებიც არ არის განსაზღვრული „ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ“ 1961 წლის ერთიანი კონვენციითა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1971 წლის კონვენციით; 2.ამ კანონის მოქმედება ვრცელდება : ა)საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევაზე; ბ)სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებზე (მუხლი მე-2 პუნქ. მე-2).[42]

ამ კანონის მიხედვით (მუხ. მე-3) განსაზღვრულია შემდეგ ტერმინთა ცნება:

ა)ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება-ამ კანონის დანართებით განსაზღვრული ნივთიერება ან მინარევი, რომელსაც მოხმარების შემთხვევაში ადამიანის სხულში ფსიქოაქტიური ზეგავლენის გამოწვევა შეუძლია; ბ) ფსიქოაქტიური ზეგავლენა- აღქმის, გუნება-განწყობის,ცნობიერების,შემეცნებისა და ქცევის შეცვლის თანამდევი ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობა; გ)ნივთიერება- ნარევი ან ხსნარი, რომელიც ერთ ან ერთზე მეტ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს.

ამ კანონით (მუხ. მე-4) აკრძალულია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვა.კერძოდ, აკრძალულია: 1. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო დამზადება,წარმოება,შეძენა,გადაზიდვა,გადაგზავნა,გასაღება,საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა; 2.ნებადართულია სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი,საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობების

[42] იქვე გვ:21

განხორციელების მიზნით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება, საქართველოდან შემოტანა ან საქართველოდან გატანა; 3.სასწავლო, სამედიცინო-კვლევითი, საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობების განხორციელების მიზნით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის ნებართვაზე ვრცელდება ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნებართვებისთვის დადგენილი წესი. 4. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.[43]

ამ ნივთიერებებს წარმოადგენს მაგალითად, 2-დფმპ, 2-გელბისი, დესმეთილტრამადოლი, ეტაქუალონი, გერანამი, კრატომი და სხვა.ყველა მათგანზე საქართველოს კანონით „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შესახებ“ დადგენილია შესაბამისი მოლეკულური სტრუქტურა (იგი მოცემულია ამ კანონის დანართში).

ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს ბაზარზე „აბაზანის მარილს“ უწოდებენ და 2014 წელს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე მათი შეძენა თავისუფლად შეიძლებოდა მაგალითად ,ინტერნეტის საშუალებით.[44]

2.3 საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების,ფსიქოტროპული ნივთიერების,პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“

საქართველოს კანონში „ნარკოტიკული საშულების,ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლიგიური დახმარების შესახებ“ ჩამოთვლილია საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების სია:

ა) I სია მოიცავს ნარკოტიკული საშუალებების კრებსით ჩამონათვალს.

---

[43] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ22

[44] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017 გვ:23

ბ) II სია მოიცავს მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალს; საქართველოში ეს ნივთიერებები სამედიცინო მიზნით გამოყენებისას აკრძალულია.ესენია განსაკუთრებით საშიში ნარკოტიკული საშუალებები,რომელთა გამოყენებაც ნებადართულია მხოლოდ სასწავლო,სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო-დიაგნოსტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასეთი ნარკოტიკული საშუალებაა, მაგალითად: აცეტილირებული ოპიუმი, ჰაშიში(ანაშა), ჰეროინი (დიაცეტილმორფინი), კანამირი (მარიხუანა),ეფედრინი (მეტკატინონი) დაა სხვ.

გ) III სია- შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალი.ესენია ის ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა სამედიცინო მიზნით გამოყენება საქართველოში ნებადართულია (მაგალითად, მორფინის ჯგუფის პრეპარატები).

IV სია - ფსიქოტროპული ნივთიერების ჩამონათვალი.

V სია - პრეკურსორების ჩამონათვალი.

ეს სია კანონით დადგენილ შემთხვევაში ცვალებადია.რაც შეეხება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების სიას, იგი მოცემულია „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს 2014 წლის კანონის დანართში.[45]

2.4. ნარკომანიის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან საერთაშორისო საზოგადოებას არაერთხელ დაუდგენია, თუ დაუკონკრეტებია იმ ნივთიერებათა წრე,რომელთა ბრუნვაც ექვემდებარება კონტროლს და რეგულირებას.

- 1909 წლის 5-26 თებერვალს შანხაიში მოწვეული იქნა „შანხაის ოპიუმის კომისია“ ესწრებოდნენ წარმომადგენლები 13 ქვეყნიდან (აშშ,ავსტრია-უნგრეთი,გერმანია,ინგლისი,იტალია,იაპონია,ნიდერლანდები,პორტუგალია,რუსეთი,საფრანგეთი,სიამი,სპარსეთი და ჩინეთი).კომისიის მოწვევის

[45] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ23

ძირითადი მიზანი იყო აზიის ქვეყნებიდან, აშშ-ში და ევროპის ქვეყნებში ნარკოტიკების უკანონოდ შეტანის წინააღმდეგ ღონისძიებათა შემუშავება.ძირითადად განიხილებოდა საკითხები ოპიუმით საერთაშორისო ვაჭრობასა და მისი მოწვევის შესახებ.კომისიას არ გამოუთქვამს კატეგორიული მოთხოვნა ოპიუმის მოწევის დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ, მხოლოდ მხარი დაუჭირა მისი რეგულირებისა და შემდგომში თანდათანობით შეზღუდვის აზრს.შანხაის ოპიუმის კომისიამ საფუძველი ჩაუყარა ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების საერთაშორისო კონტროლს და დასახა ამ სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მიმართულებები;

- 1912 წელს ჰააგაში მიღებულია ოპიუმთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენცია,ნარკოტიკებთან დაკავშირებით ისტორიაში პირველი კონვენცია,რომელიც შეიმუშავა 1911-12 წლებში ჰააგაში მიმდინარე ოპიუმის საერთაშორისო კონფედერენციამ, ესწრებოდნენ წარმომადგენლები 12 ქვეყნიდან (აშშ,გერმანია,ინგლისი,იტალია,იაპონია,ნიდერლანდები,პორტუგალია,რუსეთი,საფრანგეთი,სიამი,სპარსეთი და ჩინეთი).კონვენცია რატიფიცირებული იქნა 58 ქვეყნის მიერ.კონვენციით გათვალისწინებული იყო: -კონტროლირებადი ნივთიერებების, მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისთვის მოხმარების უზრუნველყოფა; -ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანოებისათვის დახმარების გაწევა;

  1912 წლის კონვენცია მართალია ითვალისწინებდა ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ქმედით ღონისძიებებს, მაგრამ მოსალოდნელ დადებით შედეგს ვერ მიაღწია.ახალი საერთაშორისო აქტის მიღების აუცილებლობა განაპირობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ

განვითარებულმა ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების სიჭარბემ და კონტრაბანდით გავრცელებამ;

- 1925 წლის 19 თებერვალს ჟენევაში ერთა ლიგის მეორე საერთაშორისო კონვენციის მიერ მიღებულია „ჟენევის ოპიუმთან დაკავშირებული კონვენცია“; რომელმაც განსაკუთრებულად იმოქმედა ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების შემცირებაზე, დაამაგრა 1912 წლის ჰააგის კონვენციის პრინციპები და დაადგინა, რომ ნარკოტიკები შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ სახელმწიფოთა კანონიერი მოთხოვნისათვის.

1912 წლის კონვენციის თანახმად დადგენილ ნარკოტიკების სიას დაამატა კოკას ფოთოლი,კოკაინი,ინდური კანაფი და ოპიუმთან დაკავშირებული 1925 წლის 19 თებერვლის საერთაშორისო კონვენციის 10 მუხლის თანახმად, მასში მონაწილე ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებს ნება დართო მოექციათ კონვენციის მოქმედების სფეროში ნებისმიერი ნივთიერება,რომელსაც შეეძლო იგივე ზიანი მოეტანა,რაც კონვენციით უკვე გათვალისწინებულ ნივთიერებებს.კონვენციამ მონაწილე მხარეები დაავალდებულა მიეღოთ შესაბამისი ნორმატიული აქტები ოპიუმის დამზადების,გავრცელების და გატანის მკაცრი კონტროლის უზრუნველსაყოფად.

ჟენევის 1925 წლის კონვენციამ შემოიღო ლიცენზიებისა და ნარკოტიკებთან დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის გარიგებათა რეგისტრაციის სისტემა.სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ წარედგინათ,ასეთი ოპერაციების სტატისტიკური მონაცემები.შემოღებულ იქნა ქვეყნის ნარკოტიკების მოხმარებისა და მოთხოვნილების რაოდენობის შეფასების სისტემა.

ადგილებზე კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე კონტროლი უნდა განეხორციელებინა „მუდმივმოქმედ ცენტრალურ კომიტეტს“ (შემდგომში სახელწოდება შეიცვალა „ნარკოტიკული საშუალებების მუდმივმოქმედი ცენტრალური კომიტეტი“).კონვენციის

მონაწილე 37 ქვეყანა იყო, სსრკ აღნიშნულ კონვენციას მიუერთდა 1936 წლის 29 იანვარს;

- 1931 წლის 13 ივნისს ჟენევაში (ერთა ლიგის ეგიდით) მიღებულია საერთაშორისო კონვენცია „ ნარკოტიკული საშუალებების დამზადების შეზღუდვისა და განაწილების რეგულირების შესახებ“ (ძალაში შევიდა 1933 წელს და კონვენციის მონაწილე 37 ქვეყანა იყო).

1925-1929 წლების ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ზოგიერთ ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარებამ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია, რის გამოც ერთა ლიგის X ასამბლეამ (1929წ) მიიღო გადაწყვეტილება შეემუშავებინათ ახალი საერთაშორისო ხელშეკრულება,რომელიც სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნების გარდა შეზღუდავდა ნარკოტიკების წარმოებას.1931 წლის კონვენციამ დახვეწა ნარკოტიკების მოხმარებისა და მოთხოვნილების რაოდენობის შეფასების მოქმედი სისტემა,დადგინდა ნარკოტიკების მსოფლიო სამედიცინო მიზნებით გამოყენების მოთხოვნილების რაოდენობა (გაანგარიშება მოხდა განვითარებული ქვეყნების მიხედვით), ყველა ქვეყანა ვალდებული იყო წარედგინა აღნიშნული მიზნებისათვის აუცილებელი ნარკოტიკის მოთხოვნილების რაოდენობა,განაცხადების საფუძვლის კონტროლისათვის შეიქმნა „საკონტროლო კომისია“ , რომელიც ყოველ წელს გამოცემდა ინფორმაციას ქვეყანათა მიერ ნარკოტიკების მოთხოვნილების შესახებ;

- 1936 წლის 26 ივნისს ჟენევაში მიღებულია საერთაშორისო კონვენცია „მავნებელი წამლის ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.საერთაშორისო ხელშეკრულებები არასაკმარისად ასახავდა ანტინარკოტიკული კანონმდებლობის დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომებს, კონვენციამ ამ მიმართულებით საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ახალი ელემენტი შემოიტანა:ნარკოტიკების კანონის დარღვევა გარკვეულ შემთხვევებში იწვევდა დამნაშავის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემას,სისხლის სამართლის სასჯელი, რომლითაც ნარკოტიკულ

საქმეებთან დაკავშირებული დამნაშავენი უნდა გასამართლებულიყვენენ ადგილობრივი სასამართლოების მიერ 1936 წლის კონვენციის მიხედვით გაცილებით მკაცრი იყო მის წინამორბედებთან შედარებით.

კონვენციის 11-ე და 12-ე მუხლების თანახმად მხარეები ვალდებული იყვნენ ერთმანეთისთვის გაეწიათ ურთიერთდახმარება ინფორმაციის გაცვლის,ნარკოტიკების გამსაღებლების დადგენისა და დაპატიმების გზით, რათა კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი ვერ არიდებოდა პასუხისმგებლობასა და სასჯელს.კონვენციაში იყო მცდელობა დაევალდებულებინათ მხარეები რათა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით დაწესებულიყო პასუხისმგებლობა ნარკოტიკების უკანონოდ გამსაღებლების ხელშემწყობთა მიმართ.შეიძლება ითქვას,რომ 30-იანი წლების ბოლოსათვის ნარკოტიკების წარმოებისა და გასაღების საერთაშორისო კონტროლის გარკვეული სისტემა შეიქმნა,რომელიც ჯერ კიდევ შორს იყო სრულყოფისაგან, მის ძირითად ნაკლს მხოლოდ მზა ნარკოტიკების კონტროლი წარმოადგენდა, ხოლო სხვადასხვა ნარკოტიკშემცველი მცენარეები და მათი გამოყენება სამართლით არ რეგულირდება,რითაც კონტროლის მიღმა დარჩა ნივთიერებები, რომლებიც იმ დროსათვის ცნობილი ნარკოტიკების წარმოებისათვის გამოიყენებოდა.

აღნიშნულის გამო რიგი ქვეყნებისა უძლურნი აღმოჩნდნენ მთლიანად შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ცალკეულმა ქვეყნებმა კონვენციის ხელმოწერაზე საერთოდ უარი განაცხადეს.ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებით შექმნილ ერთა ლიგას ეკისრებოდა ოპიუმისა და სხვა ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაზე არსებული ხელშეკრულებების საერთო კონტროლი;

- 1946 წელს შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ნარკოტიკების კონტოლის კომისია;

- 1953 წელს ნიუიორკში მიღებულია პროტოკოლი დამაძინებელი ყაყაჩოს კულტივირების,ოპიუმის წარმოების და ა.შ. შეზღუდვისა და რეგლამენტაციის შესახებ;
- 1961 წელს მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ (1972 წლის ოქმის თანახმად შეტანილი შესწორებებით);
- 1971 წელს მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ;
- 1979 წლის გაზაფხულზე სეულში გაიმართა ინტერპოლის რეგიონალური კონფერენცია აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ნარკოტიკების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- 1979 წლის ნაირობში ინტერპოლის გენერალურმა ასამბლეამ შესაძლებლად სცნო ნარკოტიკების საერთაშორისო მიწოდების ფარული კონტროლი;
- 1983 წელს ვენაში გაიმართა ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გაერო-ს კომისიის 30-ე სესია და შეიქმნა დროებითი ოპერატიული ჯგუფი, ნარკოტიკული საშუალებების გლობალური მასშტაბით გავრცელებისა და მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ამოცანით.
- 1983 წლის ოქტომბერში ბელგრადში გაიმართა ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 56-ე სესია,რომელზეც საკვანძო საკითხად განიხილეს ბიზნესის წინააღმდეგ ბრძლა;
- 1987 წლის ბოლოს ნიცაში გაიმართა ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 56-ე სესია,რომელზეც საკვანძო საკითხად განიხილეს ნარკოტიკების კონტრაბანდისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები;
- 1988 წელს დელიში გაიმართა პოლიციელების რეგიონალური თათბირი რომელშიც მონაწილეობდა ევროპისა და აზიის 24 ქვეყნის

წარმომადგენელი,სადაც შემუშავდა სპეციალური რეკომენდაციები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის,ინტერპოლის წევრი ქვეყნების პოლიციური სტურქტურების თანამშრომლობის გაფართოების შესახებ;

- 1988 წელს მიღებულ იქნა გაერო-ს კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- 1990 წელს შეიქმნა გაერო-ს პროგრამა ნარკოტიკული საშუალებების საერთაშორისო კონტროლის შესახებ;

აღნიშნული დოკუმენტების სტრატეგიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოს ქვეყნებმა თანმიმდევრულად განახორციელონ ყველა იმ სახის ნარკოტიკების აკრძალვის პოლიტიკა,რომლებიც არ გამოიყენება სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნით,იგი ასევე ითვალისწინებს იმ ნარკოტიკების ან სამკურნალო საშუალებების კანონიერ ბრუნვაზე უმკაცრეს კონტროლს,რომლებიც შეიცავენ ნარკოტიკულ საშუალებებს,ფსიქოტროპულ ნივთიერებებს და გამოიყენებიან სამედიცინო ან სამეცნიერო პრაქტიკაში.[46]

[46] ამ ქვეთავში გამოყენებული მთლიანი მასალა მოცემულია -ბეროზაშვილი ზ. ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები, თბ 2006 გვ:10-15

თავი III

პასუხისმგებლობა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის

3.1 ნარკოტიკული დანაშაული

ამ თავში განხილული იქენბა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი,ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასთან მიმართებაში.საქართველოს სსკ XXXIII თავი ეხება ნარკოტიკულ დანაშაულებს.ეს თავი სსკ მე-9 კარის- დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ შემადგენელი ნაწილია.

მთელ რიგ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ნარკოტიკული დანაშაული შედის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.საქართველოს კანონმდებლობამ ნარკოტიკულ დანაშაულთა ცაკლე თავად გამოყოფით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას,რომ ისინი ხასიათდებიან მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებით და ყველა მათგანი დაკავშირებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებთან.[47]

განსახილველი მუხი მოიცავს ექვს ნაწილსა და შენიშვნას.პირველი ნაწილი ითვალისწინებს ამ დანაშაულის ძირითად სახეს:ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის,პრეკურსორის,ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა,შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. მესამე ნაწილში გადმოცემულია დანაშაულის დამამძიმებელი(მაკვალიფიცირებელი) გარემოებები: იგივე ქმედება ჩადენილი ა)დიდი იდენობით ბ)წინასწარი შეთანხებით ჯგუფის მიერ გ)სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დ)არაერთგზის ე)იმის

[47] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ3

მიერ,ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.მუხლის მეექვსე ნაწილი ითვალისწინებს განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებს.260 მუხლით გათვალისწინებული ქმედება,ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით და ორგანიზებული ჯგუფის მიერ.შენიშვნაში მოცემულია სსკ XXXIII თავით(ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინეული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ფსიქოტროპული ნივთიერების,მისი ანალოგის ან ძლიერ მოქმედი ნივთიერების ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში, თუ პირის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

აღნიშნული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა და ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის ან პრეკურსორის ბრუნვის კანონით დადგენილი წესი.აღნიშნული წესი დადგენილია როგორც კანონით-„ნარკოტიკული საშუალების,ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორის და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“,ისე იმ საერთაშორისო კონვენციებით,რომელსაც საქარართველო შეუერთდა და რომლებიც აწესრიგებენ ამ საკითხს(გაეროს 1961წ. კონვენცია „ნარკოტიკული საშუალების შესახებ“, გაეროს 1971 წ. კონვენცია „ფსიქოტროპული ნივთიერების შესახებ“, გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.).[48]

3.2ნარკოტიკული საშუალების ცნება

[48] [48] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ.გვ13

ნარკოტიკული საშუალების ცნება მოიცავს ორ ასპექტს:სამედიცინო და იურიდიულ ასპექტებს.სს კოდექსში იგუისხმება ამ ცნების იურიდიული ასპექტები.კერძოდ,ნარკოტიკულ საშუალებაში იგულისხმება სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერება,პრეპარატი,მცენარე,რომლებიც გაეროს კონვენციის დებულებათა შესაბამისად შეტნილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩამონათვალში.ნაკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნება, მაგალითად: კოკაინი, ოპიუმი, მორფინი, მარიხუანა, ჰეროინი, ჰაშიში, ყაყაჩოს ნამჯა და ა.შ.[49]

რაც შეეხება პრეკურსორს,ესაა ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერერბა,რომელიც ხშირად გამოიყენება ნარკოტიკების დამზადებისას და მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება მისი მოლეკულის ნაწილი.პრეკურსორები სხვადასხვა გამოყენებას ჰპოვებენ ნარკოტიკების გადამუშავებასა და დამზადებაში,მათი ძირითადი ქიმიური თვისებების გათვალისიწინებით შედიან სხვა საშუალებებთან ქიმიურ ნაერთებში და წარმოქმნიან ნარკოტიკს.მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია უამრავი პრეკურსორი.გაეროს კონვენციების დებულებათა შესაბამისად პრეკურსორი შეტანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩამონათვალში.[50]

ნარკოტიკული საშუალების ანალოგებში იგულისხმება ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის უცნობი ნივთიერება,რომელიც შეტანილი არ არის სიებში და არ კონტროლდება საქართველოს კანონმდებლობით. კონტროლირებადი უკანონო ბრუნვისთვის დაწესებული, მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით,აგრეთვე ეიფორიული მოქმედების მქონე ნარკოტიკებზე „შავი ბაზრის“ მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, იატაკქვეშა ლაბორატორიებში არაკეთილსინდისიერი და უპრინციპო მკვლევარების მიერ უკანონო ბრუნვაში მოსაქცევად პერიოდულად იქმნება,მუშავდება და მზადდება „ნარკოტიკული საშუალებების ანალოგები“, „ახალი ნარკოტიკები“

---

[49] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ200

[50] ბეროზაშვილი ზ. ნარკობიზნესის ინდუსტრია,თბ 2002წ. გვ23

ანუ „ნარკოტიკები დაკვეთით“, რომლებმაც ასევე ფართო გავრცელება ჰპოვა ნარკომანებში.ანალოგების შექმნის მიზანია საწყისი ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების ქიმიური შემადგენლობის შეცვლით მიღებული პროდუქტის,კანონით დადგენილი კონტროლის სფეროდან გამოყვანა (მაგალითად,ნარკოტიკი-ანალოგი იყო მდმა-„ექსტაზი“,რომელიც ამჟამად დაქვემდებარებულია სპეციალურ კონტროლს).[51]

3.3 სსკ-ს 260-ე მუხლი:დანაშაულის სუბიექტური მხარე

სუბიექტური მხრივ ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებისას ამსრულებლის მოტივსა და მიზანს არა აქვს მნიშვნელობა კვალიფიკაციისთვის. იგი მხედველობაში მიიღება მხოლოდ სასჯელის დანიშვნისას.ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო გასაღებაც ბრალის ფორმის მიხედვით არის პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული. ე.ი. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს,რომ ასაღებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს ან ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას და თანაც ისე,რომ არა აქვს ამგვარი ქმედების კანონიერი უფლებამოსილება.

სს კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე ან უცხოელი მოქალაქე.[52]

3.4 სსკ-ს 260-ე მუხლი:დანაშაულის ობიექტური მხარე

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება,მისი ანალოგი,პრეკურსორი და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.ნარკოტიკულ

---

[51] [51] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ.გვ24-25

[52] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ31

საშულებებს მიეკუთვნება, მაგალითად: კოკაინი, ოპიუმი, მორფინი, მარიხუანა, ჰეროინი, ჰაშიში, ყაყაჩოს ნამჯა და ა.შ.[53]

განსახილველი ნორმის ობიექტური მხარე გამოიხატება შემდეგ ქმედებებში:მითითებულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა,გადაგზავნა, გასაღება. ამდენად, სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით,საიდანაც ერთ-ერთის ჩადენა საკმარისია დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის.[54]

ჩამოთვლილ ქმედებათა უკანონობა მდგომარეობს იმაში,რომ ეს ქმედებები ჩადენილია ნარკოტიკული ნივთიერების,მათი ანალოგისა და პრეკურსორის ბრუნვის კანონით დადგენილი წესის დარღვევით და სათანადო ნებართვის გარეშე.[55]

ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის,პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებაში იგულისხმება განზრახი მოქმედება,როცა პირი,ვისაც არა აქვს საამისო საკანონმდებლო უფლებამოსილება,ნარკოტიკების შემცველი მცენარისაგან,პრეპარატისაგან,ანდა ქიმიურად თუ სხვა სახის ნივთიერებისაგან მიიღებს მოხმარებისა ან გამოყენებისათვის მზა ერთ ან რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებას,მის ანალოგს ან პრეკურსორს,რომელიც შეტანილია სპეციალურ სიაში და მათ ბრუნვაზე დაწესებულია სახელმწიფო კონტროლი.ტერმინი „დამზადება“ უნდა განვასხვაოთ ტერმინ „მომზადებისაგან“ .ნარკოტიკული საშუალების მომადებაში იგულისხმება შესაბამისი ლიცენზიის მქონე აფთიაქში რეცეპტის საფუძველზე სათანადო ტექნოლოგიით ნარკოტიკული სამკურნალო საშუალებისათვის წამლის ფორმის მიცემა.უკანონო დამზადება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ხერხით:მექანიკური,ფიზიკური თუ ქიმიური მეთოდების

---

[53] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ16

[54] ამ საკითხზე იხ. გ.მამულაშვილი-სისხლის სამართლი,ზოგადი ნაწილი,ავტ. კოლ. თბ 2006(მე-2 გამოცემა),გვ459-461

[55] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.-ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ18

გამოყენებით და ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.უკანონო დამზადება დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ,როცა მიღებულ იქნება უკვე გამოყენებისათის მზა ნივთიერება. თუკი პირი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ცდილობდა ნარკოტიკული საშუალების დამზადებას,მაგრამ ვერ მოახერხა გამოყენებისათვის მზა ნივთიერების შექმნა,მაშინ ადგილი ექნება ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადების მცდელობას და მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ მე-19, 260-ე 1-ლი ნაწილით.მართალია,სახეზეა შედეგგარეშე(ფორმალური) დანაშაული, მაგრამ რადგან სახეზეა რამდენიმე აქტიანი ქმედება,მცდელობა შესაძლებელია.[56]

უკანონო შეძენა გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის ან პრეკურსორის მოპოვებას უკანონოდ,სხვადასხვა გზით:მათი ყიდვა,მათი მიღება გასაღებული ნივთის სანაცვლოდ(მაგ. ფულის გამსესხებელმა ფულის ნაცვლად მოვალისაგან აიღო ნარკოტიკული საშუალება);სხვისთვის გაწეული სამსახურისა ან სამუშაო ფულის ნაცვლად ნარკოტიკული საშუალების მიღება;სხვა ნივთში გაცვლა,ნაპოვნი საშუალების მითვისება;ველურად აღმოცენებული ნარკოტიკული მცენარეების შეგრეოვება;ანდა მათი შეგროვება მიწის ისეთ ნაკვეთზე,რომელსაც ჰყავს მესაკუთრე,მაგრამ ეს მცენარეები მესაკუთრის მიერ არაა დათესილი ან მოყვანილი და ისინი ბრუნვიდან აღმოცენდნენ.ამ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალებების მოყვანაზე ადამიანის შრომა არაა დახარჯული,მაგრამ მოსავლის აღების შედეგად იგი ნარჩენის სახით დატოვებულ იქნა დაუცველ ადგილზე თვით მესაკუთრის მიერ.ამდენად, ეს მცებარეები უკვე გამოსულია მესაკუთრის მფლობელობიდან მისივე ნებით და არავის საკუთრებაში არ იმყოფება.[57]

როგორც ვხედავთ,ხსენებულ ნორმაში შეძენის ცნება ფართო გაგებითაა ნახმარი.ნარკოტიკულ საშუალებათა შეძენა კანონიერად ჩაითვლება,თუ იგი

---

[56] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ24-25

[57] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ19

შეძენილია სპეციალური ლიცენზიის მქონე აფთიაქებსა და ჯანდაცვის დაწესებულებებში სპეციალური რეცეპტით ან კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის განხორციელების მიზნით იმ პირის მიერ,ვისაც გააჩნია საამისო უფლებამოსილება.[58]

უკანონო წარმოების დროს ადგილი აქვს არა ერთი ან რამდენიმე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის,ანდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებას,არამედ ქიმიური ნივთიერებისაგან,მცენაარეებისა ან ბუნებრივი მასალებისაგან სპეც. კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერების სერიულ მიღებას.ა მდენად, უკანონო წარმოება უფრო საშიშია თავისი მნიშვნელობით, ვიდრე უკანონო დამზადება,ვინაიდან წარმოება უფრო მასშტაბურია.წარმოება კანონიერია მაშინ,როცა შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირი აწარმოებს: ა)IV სიაში მითითებულ ფარმაცევტული წარმოებისათვის ნებადართულ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს; ან ბ)იმ პრეპარეტებს,რომლებიც შეიცავენ III სიაში(შეზღუდული ნარკოტიკული საშუალება) მითითებულ, ფარმაცევტულ საქმიანობაში გამოყენებისათვის ნებადართულ ნარკოტიკულ საშუალებებს.ეს პრეპარატები მზა პროდუქციის სახით არ უნდა იყოს შეტანილი ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალში.ამდენად,ეს დამზადების შედეგად მიღებული პრეპარატი ერთ-ერთი ინგრედიენტის სახით შეიძლება შეიცავდეს მორფინის ჯგუფის პრეპარატს,მაგრამ მთლიანობაში არ უნდა წარმოადგენდეს მას.[59]

უკანონო შენახვაში იგულისხმება ნებისმიერი განზრახი ქმედება,რაც გამოიხატება უკანონი მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალების ადგილსამყოფლის მიჩენაში.მაგალითად,მისი შენახვა ბინაში,გარაჟში,მანქანის საბარგულში იმის მიუხედავად,მანქანას ატარებს ეს პირი,თუ იგი უძრავ მდგომარეობაში იმყოფება,მაგრამ თუკი აღნიშნული მანქანით პირი ახდენს ამ ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას ერთი ადგილიდან სხვა

[58] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004. გვ20

[59] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ25

ადგილად მისი შენახვის მიზნით,მაშინ ეს ქმედება ჩაითვლება არა უკანონოდ შენახვად,არამედ უკანონო გადაზიდვად.შენახვა შეიძლება ნარკოტიკული საშუალების თან ტარებით(მაგალითად,პიჯაკის შიდა ჯიბეში).ამ შემთხვევაშიც ,თუ ეს დაკავშირებულია აღნიშნული ნივთიერების გადაზიდვასთან სხვა ადგილას,ქმედება დაკვალიფიცირდება უკანონო გადაზიდვით და არა უკანონო შენახვით.[60]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთმულია მოსაზრება,რომ ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შენახვა გამოიხატება მხოლოდ აქტიურ მოქმედებაში.ჩვენი აზრით,გამორიცხული არაა იგი უმოქმედობაშიც გამოვლინდეს.მხედველობაში გვაქვს შემთხვევა,როცა თავიდან ნარკოტიკული საშუალებები პირის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა.შემდეგში მართლზომიერების ეს პირობები შეწყდა,მაგრამ პირმა არ ჩააბარა სათანადო დაწესებულებებს ეს ნივთიერებები.მაგალითად,მძიმე სენით დაავადებული პირის გარდაცვალების შემდეგ ოჯახში დარჩა გამოუყენებელი ნარკოტიკული საშუალება,რომელიც გარდაცვლილი ავადმყოფისათვის იყო შეძენილი კანონით დადგენილი წესით.ოჯახის წევრი იმ განზრახვით,რომ შეიძლება ეს ნივთიერება მომავალში გამოადგეს,არ აბარებს მას სათანადო დაწესებულებას.ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვას უმოქმედობით,რა თქმა უნდა,იმ პირობით,რომ ნარკოტიკული საშუალება ინახება კვლავ იმ ადგილას,სადაც იყო თავდაპირველად და იგი არ იქნა გადატანილი შესანახად რაიმე სპეციალურ სამალავში.[61]

აქვე უნდა აღინიშნოს,რომ კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა დროს,რომლის განმავლობაშიც უკანონოდ იყო შენახული ნარკოტიკული საშუალება,მისი ანალოგი ან პრეკურსორი.შენახვის ხანგრძლივობა

---

[60] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ20

[61] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ გვ21

სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს მხოლოდ სასჯელის განსაზღვრისას.მაგრამ უნდა აღვნიშნოთ,რომ არ უნდა ჩაითვალოს უკანონო შენახვად ნარკოტიკული ნივთიერების დროებით მიბარება შესანახად მისი კანონიერი მფლობელისაგან.მაგალითად,პირმა სპეციალურ აფთიაქში კანონის მოთხოვნათა დაცვით შეიძინა ნარკოტიკული საშუალება და სანამ სახლში მიიტანდა,დროებით შესანახად მიაბარა იგი მის ახლობელს.ამ უკანასკნელის ქმედება არ უნდა ჩაითვალოს უკანონო შენახვად,რადგან ეს ქმედება არაა მიმართული ამ ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევისაკენ. მართალია, ფორმალურად ამ პირს არა აქვს მისი შენახვის კანონიერი უფლებამოსილება,მაგრამ ეს შენახვა მიზნად ისახვას მცირე დროის გასვლის შემდეგ ამ ნივთიერების კვლავ კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებას და,ამდენად, საფრთხეს არ უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი სწორედ მოსახლეობის ჯანრთელობაა და თანაც ეს დანაშაული სუბიექტური მხრივ განზრახია.[62]

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შენახვის უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირს,ასევე ინდივიდუალურ მეწარმეს.ამ უკანასკნელს შეუძლია შეინახოს მხოლოდ პრეკურსორი.შენახული ნივთიერება არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას,რაც საჭიროა მათი საქმიანობისათვის.რაც შეეხება უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებებს,მათი შენახვა შეუძლიათ უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებს.შენახვის უფლება აქვთ ასევე ფიზიკურ პირებს პირადი მოხმარებისათვის,სამკურნალო მიზნით.[63]

---

[62] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ21

[63] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ26-27

3.4.1 სსკ-ს 260-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოებები

განხილული მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული **იგივე ქმედება,ჩადენილი დიდი ოდენობით.**ნარკოტიკული საშუალების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ამ ნივთიერებათა წონა და ოდენობა,არამედ მისი თვისებების,მისი ზემოქმედების უნარი ადამიანის ორგანიზმზე.ამიტომაა,რომ ოდენობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნარკოტიკული საშუალების სახეობას,არამედ მის ფიზიკურ მდგომარეობას, ე.ი. იმას, იგი მოცემულია ფხვნილის,აბის,თუ ამპულაში სითხის სახით.2003 წლის 23 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „უკანონო მფლობელობოდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე,დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნუსხის“ დამტკიცების შესახებ.აღნიშნულ ნუსხაში მოცემულია არაკანონიერ ბრუნვაში ან მფლობელობაში აღმოჩენილ ნარკოტიკულ საშუალებათა,ასევე ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მცირე,დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა.[64]

ზემოხსენებული სიის თანახმად,ნარკოტიკულ საშუალებათა ოდენობის ჩამონათვალი იწყება მცირე ოდენობით.კერძოდ, მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით მიჩნეულია მცირე ოდენობად და მასზე დაკისრებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი მე-4 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაწყისი (სსკ 260-ე მუხლის I ნაწილი).მაგალითად,ნოქსირონის მცირე ოდენობად ჩაითვლება 1 გრამამდე

[64]თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ28

ოდენობა.ხოლო 1 გრამზე მეტი 10 გრამის ჩათვლით ნოქსირონი ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარის ოდენობად.ამდენად,პირს ნოქსინორის უკანონო დამზადებისა ან შეძენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს (ამ მუხლის პირველი ან მე-4 ნაწილით), უკანონო ბრუნვაში უნდა აღმოჩნდეს 1 გრამზე მეტი ოდენობის ნივთიერება,მაგრამ მისი წონა არ უნდა აღემატებოდეს 10 გრამს.მე-4 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი მე-5 ვერტიკალურ გრაფაში მითითებული ოდენობის ჩათვლით ითვლება დიდ ოდენობად(მაგალითად, ნოქსირონი 10 გრამზე მეტი 100 გრამის ჩათვლით), ხოლო მე-5 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი ითვლება განაკუთრებით დიდ ოდენობად (ნოქსირონი 100 გრამზე მეტი).[65]

ამ სიაში ნარკოტიკული საშუალების ოდენობები მოცემულია სუფთა შემადგენლობის გათვალისწინებით, ე.ი. მათი შემოსავსებლების(ფქვილი,შაქარი,სახამებელი და ა.შ.) გარეშე.[66]

იგივე ქმედების ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მეტი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება და ამიტომაც იგი ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა.საქართველოს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი,თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ე.ი. ამ ნორმით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია,სულ მცირე ორი პირი 260-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების დაწყებამდე შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.თუ ერთი პირის მიერ დაწყებულ ქმედებას შეუერთდება მეორე პირი თუნდაც შემდგომი ურთიერთ-შეთანხმებით,საქმე არა გვაქვს სს კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტთან.მაგალითად,პირმა

---

[65] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ31-32

[66] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ29

დაიწყო ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო დამზადება, შემდეგ კი მზა პროდუქციის მიღებამდე დაიხმარა სხვა პირი დამზადების პროცესის გასაადვილებლად.ეს ქმედება არ დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით.ამ დროს პირის ქმედება, თუ არ არის სხვა დამამძიმებელი გარემოება,უნდა დაკვალიფიცირდეს 260-ე მუხლის I ნაწილით- უკანონო დამზადებით.[67]

ამასთანავე,უნდა აღვნიშნოთ, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ეს დანაშაული მაშინაა ჩადენილი,თუ წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ ამსრულებლები. ე.ი. 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე ქმედების ჩადენაში მონაწილეობდა ორი პირი მაინც.მაგალითად,ორი ან მეტი წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ შეუდგა ნარკოტიკული საშუალების გასაღებას, ანდა ორი ან მეტი პირი სათანადო ნებართვის გარეშე უშუალოდ მონაწილეობს ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის პროცესში და ა.შ. თუ ამსრულებელია ერთი პირი,რომელიც მოქმედებს ორგანიზატორთან,წამქეზებელთან ან დამხმარესთან წინასწარი შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელნი არ მონაწილეობენ ქმედების ჩადენაში, კვალიფიკაცია მოხდება სსკ 260-ე მუხლის I ნაწილით, ხოლო თანამონაწილეთა(ორგანიზატორის,წამქეზებლის,დამხმარის) ქმედებანი დაკვალიფიცირდება სსკ 25-ე და 260-ე მულის I ნაწილით.[68]

როცა ადგილი აქვს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონო შეძენას ან გასაღებას, ეს ქმედებები წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ,თუ ორი ან მეტი პირი უშუალოდ მონაწილეობდა ერთ-ერთი ამ ქმედების ჩადენაში.ხოლო თუ ერთი პირი იყო გამსაღებელი,მეორე კი უკანონო შემძენი, ქმედების კვალიფიცირება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ

---

[67] [67] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ.გვ30

[68]იქვე .გვ31

ჩადენილად გამორიცხულია, რადგან არ არსებობს უკანონო გასაღება უკანონო შემძენის გარეშე.[69]

რაც შეეხება სსკ 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს,ვინაიდან სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებით, ქმედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად შეიძლება ჩაითვალოს,როცა პირები წინასწარ შეთანხმდებიან რა ამ დანაშაულის ჩასადენად, გაინაწილებენ ფუნქციებს.მაგალითად,ერთი პირი უკანონოდ შეიძენს ნარკოტიკულ საშუალებას,მეორე მისგან ამზადებს ნარკოტიკულ საშუალებას, მესამე უკანონოდ ინახავს ამ ნივთიერებას, ხოლო მეოთხე პირი უკანონოდ გადაზიდავს ან გადაგზავნის მას სხვა დასახელებულ პუნქტში.[70]

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა **იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენებით.**

ამ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს სპეციალურ სუბიექტზე,რომელიც 260-ე მუხლის I ნაწილში მითითებული ქმედების ჩადენისას იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, ე.ი. კანონით მინიჭებულ უფლებებსა და რწმუნებებს. ასეთი პირები შეიძლება იყვნენ როგორც მოხელეები(თანამდებობის პირები), ასევე ისინი, რომლებიც არ არიან მოხელეები.მაგალითად,მოხელედ ჩაითვლება სპეციალური აფთიაქის გამგე,რომელსაც კანონის მოთხოვნათა დაცვით უფლება აწვს გაყიდოს ნარკოტიკული საშუალება,ასევე ონკოლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ან განყოფილების გამგე,რომლის კანონიერ მფლობელობაში იმყოფება ნარკოტიკული საშუალება.თუ ეს პირები გამოიყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას და უკანონოდ გაასაღებენ ნარკოტიკულ საშუალებას იმ პირებზე,ვისაც არა აქვთ მათი შეძენის კანონიერი

---

[69] [69] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ.გვ31

[70] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ36

უფლება,ქმედება დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 260-ე მუხლის III ნაწილის „გ“ პუნქტით.[71]

ამასთანავე,უნდა აღინიშნოს, რომ მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება მიმართული უნდა იყოს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვისკენ.თუ პირი იყენებს რა სამსახურებრივ მდგომარეობას და არღვევს ნარკოტიკული საშუალების მოპყრობისადმი კანონით დადგენილ წესს ისე,რომ მისი მიზანი არაა იმ ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა,ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 260-ე,არამედ 269-ე მუხლით-ნარკოტიკული საშუალების,პრეკურსორის დამზადების,წარმოების,მიღების,აღრიცხვის გაცემის,შენახვის,გადაზიდვის,გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა.მაგალითად,საავადმყოფოს მთავარი ექიმი,რომელსაც აქვს სპეციალური ნებართვა ნარკოტიკული საშუალების შენახვისა,სპეციალურ საცავში კანონის დაცვით შეძენილ ნარკოტიკულ საშუალებებთან ერთად ინახავს სხვა ნარკოტიკულ საშუალებასაც,რომელთა შენახვაზე მას არა აქვს კანონიერი ნებართვა.ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით-260-ე მუხლის III ნაწილის „გ“ პუნქტი.იგივე პირი,მართალია, ინახავს კანონის მოთხოვნის დაცვით შემოტანილ ნარკოტიკულ საშუალებას მაგრამ მას შენახვისათვის დადგენილი წესის დარღვევით მაგალითად, კარადაში, რომელსაც რკინის ნაცვლად, შემინული კარები აქვს და მისი ჩამომტვრევა ადვილია),ქმედება დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 269-ე მუხლით. ე. ი. 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის ძირითადი განსხვავება 269-ე მუხლისაგან მდგომარეობს შემდეგში:260-ე მუხლის სუბიექტების მოქმედება უშუალოდ მიმართულია ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო ბრუნვისკენ და ამ დროს იგი იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას.269-ე მუხლის სუბიექტს კი გააჩნია კანონით მინიჭებული

[71] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ33

უფლებამოსილება მოცემული ნარკოტიკული საშუალების მიმართ,მისი მიღების,აღრიცხვის,გაცემის,შენახვის,გადაზიდვისა და ა.შ. მაგრამ ამ ფუნქციის განხორციელებისას იგი არღვევს ამ ნივთიერებისადმი მოპყრობის დადგენილ წესს,რასაც გაუფრთხილებლობით შედეგად მოჰყვება ამ ნივთიერების უკანონო ბრუნვაში მოქცევა.მაგალითად,ზემოხსენებულ შემთხვევაში,როცა მთავარი ექიმი შემინულ კარადაში ინახავს ნარკოტიუკულ საშუალებას, ამ ქმედებით სარგებლობს სხვა პირი და ფარულად ეუფლება მას(სსკ 269-ე მუხლი).[72]

ამ დანაშაულის სუბიექტი სახელმწიფო მოხელესთან ერთად შეიძლება იყოს ინდივიდუალური საწარმოს ხელმძღვანელიც, რომელიც არაა მოხელე.მხედველობაში გვაქვს ის ინდივიდუალური მეწარმე რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს პრეკურსორის შენახვის უფლება.მას შეუძლია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაასაღოს პრეკურსორი.იმ პირზე, ვისაც არა აქვს პრეკურსორის შეძენის უფლება ან ჩაიდინოს 260-ე მუხლის I ნაწილში მითითებული სხვა ქმედება.[73]

მიგვაჩნია,რომ 260-ე მუხლის III ნაწილის „გ“ პუნქტის სუბიექტი შეიძლება იყოს ამა თუ იმ დაწესებულების რიგითი(ტექნიკური) მუშაკიც,რომელსაც თავისი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას ხელი მიუწვდება ამ ნივთიერებაზე(აქვს ფიზიკური წვდომა) და აქედან გამომდინარე, ხსენებული დანაშაულის ჩადენისას იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას.მაგალითად,ამა თუ იმ ტრანსპორტის მძღოლი, რომელიც კანონიერი გზით ახდენს ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვას,სარგებლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით და ამავე ტრანსპორტით უკანონოდ გადაზიდავს სხვა ნარკოტიკულ საშუალებას.ანდა, საავადმყოფოს მედდა,რომელსაც ნარკოტიკული საშუალება გადაცემული აქვს

---

[72] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ33-34

[73] იქვე .გვ34

ავადმყოფისათვის საინექციოდ,უკანონოდ ყიდის მას სხვა პირზე, ხოლო ავადმყოფს უკეთებს სხვა წამალს.მედდა ამ შემთხვევაში უკანონოდ ასაღებს ნარკოტიკულ ნივთიერებას იყენებს რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას.არ გვექნება ამ დანაშაულის შემადგენლობა, როცა მოხელე იყენებს არა სამსახურებრივ უფლებამოსილებას,არამედ სამსახურებრივ ავტორიტეტს.[74]

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება,რომელსაც ითვალისწინებს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი არის **იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის.** არაერთგზისი დანაშაულის ცნების გასარკვევად უნდა მივმართოთ სს კოდექსის მე-15 მუხლს.ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე,260-ე მუხლში არაერთგზისობა გულისხმობს ამავე მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას.თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა არა ამ მუხლით,არამედ ამ თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას.თუ პირს ადრე ჩადენილი ჰქონდა არა ამ მუხლით, არამედ ამ თავით(ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ პუნქტით და არა „დ“ პუნქტით.[75]

განსახილველი დანაშაულის არაერთგზისად ცნობისთვის მნიშვნელობა არა აქვს პირი ადრე ჩადენილი ქმედებისთვის იყო ნასამართლევი თუ არა.მაგრამ დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება,თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან,

[74] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ37

[75] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ35

ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.[76]

აქვე მიზანშეწონილია არაერთგზისი დანაშაულის განსხვავება განგრძობადი დანაშაულისაგან.სს კოდექსის მე-14 მუხლით „განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული,რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას“.აქედან გამომდინარე, 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება განგრძობად დანაშაულად ჩაითვლება,თუ პირი სჩადის რომელიმე დანაშაულებრივ ქმედებას,რომელიც მოცულია ერთი საერთო მიზნით და განზრახვით.მაგალითად,პირმა მიწის რომელიმე მონაკვეთზე იპოვა ველურად გაზრდილი ნარკოტიკული მცენარე და გაადწყვიტა მისი უკანონო დაუფლება.ამ მიზნით იგი ნაწილ-ნაწილ ეზიდება ამ ნივთიერებას თავის საცხოვრებელ სახლში,რათა მომავალში მისგან დაამზადოს ნარკოტიკული ნივთიერება.მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილით,როგორც ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შეძენა,რადგან მას ამოძრავებს ერთიანი მიზანი და განზრახვა,დაეუფლოს ამ მინდორზე არსებულ ნარკოტიკულ საშუალებას.მართალია,მისი ქმედება რამდენიმე აქტისაგან შედგება,მაგრამ ეს არ მიუთითებს მოქმედების არაერთგზისობაზე.[77]

განგრძობადი დანაშაულის გამიჯვნისას არაერთგზისი დანაშაულისაგან განსასჯელის ჩვენებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენილ ქმედებებს შორის დროის ინტერვალს,ქმედების ჩადენის ადგილს,ხერხებს,სუბიექტსა და სხვა გარემოებებს,რომელიც დაეხმარება სასამართლოს განსაზღვროს,პირის მიერ ერთი და იმავე ხერხებისა და საშუალების გამოყენებით,ერთი და იმავე ადგილას,მაშინ სასამართლოს აქვს

---

[76] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ38

[77] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ36-37

საფუძველი დაადგინოს,რომ ჩადენილია განგრძობადი ნარკოტიკული დანაშაული და თუ არ არსებობს სხვა დამამძიმებელი გარემოება,ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 260-ე მუხლის I ნაწილით.[78]

შემდეგი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა **იგივე ქმედება,ჩადენილი იმის მიერ,ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.**ამ პუნქტის სუბიექტია ის პირი,ვისაც წინათ ჩადენილი ჰქონდა არა 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება,არამედ კოდექსის ამ თავით(ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული სხვა რომელიმე დანაშაული დაწყებული 261-ე მუხლიდან, დამთავრებული 274-ე მუხლით.ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისას მნიშვნელობა არა აქვს იმას,პირი ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის იყო თუ არა ნასამართლევი.მთავარია,რომ მას არ უნდა ჰქონდეს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული,ანდა არ უნა იყოს კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.თუ ეს პირობა დაცულია,ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ერთობლიობით, ე.ი. 260-ე მუხლის III ნაწილის „ე“ პუნქტითა და ნარკოტიკული დანაშაულის იმ მუხლით,რომლის შემადგენლობაშიც არსებობს პირის მიერ ადრე ჩადენილ ქმედებაში.აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს იმას,ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის როგორი სასჯელია დაწესებული-260-ე მუხლის III ნაწილის სანქციით გათვალისწინებულზე მკაცრი თუ მსუბუქი.ეს იმიტომ,რომ ამ შემთხვევაში არ ვრცელდება სს კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები,მე-15 მუხლი ხომ არაერთგზის ჩადენილი დანაშაულის შემთხვევებს აწესრიგებს.[79]

როცა განსახილველი დანაშაული ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით(„ბ“ ქვ.) ან თანამონაწილეობით, მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი

---

[78] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ .გვ37

[79] იქვე გვ.37-38

შეეფარდება მხოლოდ იმ პირს,რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ამ თავით გათვალსიწინებული სხვა დანაშაული,ან ეს დანაშაული (260-ე მ.) ჩადენილი ჰქონდა არაერთგზის. ეს იმიტომ,რომ სს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის დამახასიათებელი პერსონალური ნიშანი შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასითებს.ამდენად, ეს დამამძიმებელი გარემოება არ გადავა სხვა თანაამსრულებელზე ან თანამონაწილეზე მხოლოდ იმიტომ,რომ მას იგი გაცნობიერებული ჰქონდა, არამედ აუცილებელია, მას თავად ახასიათებდეს იგი.[80]

სასამართლო პრაქტიკა

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 იანვრის განაჩენით შ.დ ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველსო სსკ-ის 273-ე მუხლით(..... ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (... ეპიზოდი),საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა.

გორის რაიონულმა სასამართლომ 2014 წლის 30 ნოემბრის განაჩენით ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“(მარიხუანის) ექიმის დანიშნულების გარეშე,უკანონოდ მოხმარებისათვის ნასამართლევმა შ.დ.-მ განმეორებით, კვლავ ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“(მარიხუანის),რაც გამოვლინდა 2015 წლის 13 აგვისტოს და 2015 წლის 2 ნოემბრს ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად.

გორის რაონულმა სასამართლომ 2014 წლის 30 ნოემბერის განაჩენით ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანის) ექიმის დანიშნულების გარეშე,უკანონოდ მოხმარებისათვის ნასამართლევმა შ.დ-მ უკანონოდ შეიძინა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება „.....“, რომელსაც

[80] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ39

უკანონოდ ინახავდა.2016 წლის 18 აპრილს, ... რაიონის სოფელ .... შ.დ.-ის პირადი ჩხრეკისას,ამოიღეს მის მიერ უკანონოდ შეძენილი და ასევე უკანონოდ შენახული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება - 0,00615 გრამი „.....“

კასატორი-მსჯავრდებული შ.დ. წარდგენილი საკასააციო საჩივრით ითხოვს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლისათვის შეფარდებული ჯარიმის გაუქმებას,ხოლო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლთან მიმართებით - კვალიფიკაციის შეცვლას და სასჯელის შემსუბუქებას.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები,შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა,რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:1.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის სიტყვების - „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ -ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების,ფსიქოტროპული ნივთიერებების,პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმაების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის.ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენით შ.დ. მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის,კერძოდ 2015 წლის 13 აგვისტოს და 2015 წლის 2 ნოემბერს გამოვლენილი „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანა) კვლავ ექიმის გარეშე,უკანონოდ მოხმარებისათვის,საკონსტიტუციო სასამრთლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ორივე ეპიზოდში უნდა შეწყდეს დევნა. 2.რაც შეეხება შ.დ.-ის ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის

„ე“ ქვეპუნქტიდან სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილზე გადაკვალიფიცირებას,საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მაკვალიფიცირებელი გარემოება (იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული) წარმოშვა გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ნოემბრის განაჩენით. შ.დ.-ის საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დამნაშავედ ცნობამ („ტეტრაჰიდროკანაბინოლის“(მარიხუანის) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის).ამდენად,ის ფაქტობრივი გარემოება,რომელმაც გამოიწვია შ.დ.-ის მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აღარ იწვევს.აღნიშნულიდან გამომდინარე, შ.დ.-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 260-ე მე-2 ნაწილზე (ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა და შენახვა). ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს,რომ საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს შ.დ.-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.[81]

3.4.2 სსკ-ს 260-ე მუხლის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები

260-ე მუხლის მე-6 ნაწილში გათვალისწინებულია ამ დანაშაულის განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებები.პირველი მათგანია **ამ მუხლით ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება,ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.**ისე,როგორც დიდი ოდენობა ,განსაკუთრებით დიდი

[81]საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №365-აპ-17)

ოდენობაც შეფასებითი ცნებაა და სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც მოცემული ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის ან პრეკურსორის რაოდენობა,ასევე ორგანიზმზე მისი ზემოქმედების ძალა.[82]როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოებმა ოდენობის განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელონ პარლამენტის მიერ დამტკიცებული სიით, რომელიც დაყოფილია გრაფებად: მე-3, მე-4 და მე-5 გრაფაში მოცემულია შესაბამისად მცირე,დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები.

ამ ნორმის მეორე განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებაა **ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება,ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.**იგი ჯგუფური დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმაა.სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი,თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა,რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.[83]

როდესაც ორგანიზებული ჯგუფი სჩადის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს,ჯგუფის ორგანიზატორს 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, შეერაცხება ყველა ის ნარკოტიკული დანაშაული,რაც ჩაიდინა ორგანიზებული ჯგუფის წევრმა,თუ ამას მოიცავდა ორგანიზატორის განზრახვა.რაც შეეხება ჯგუფის წევრებს, 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, ისინი როგორც ამსრულებლები ან როგორც თანამონაწილეები, პასუხს აგებენ მაშინ,თუკი მონაწილეობდნენ მის მომზადებაში ან ჩადენაში.მაგრამ როცა ორგანიზებული ჯგუფის წევრი არ მონაწილეობს 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არც მომზადებაში და არც ჩადენაში, მას არ შეიძლება შეერცხოს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, თუნდაც იცოდეს, რომ ჯგუფის სხვა წევრების

---

[82] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ39-40

[83] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ40

მიერ ჩადენილია ეს დანაშაული.ეს აზრი პირდაპირ გამომდინარეობს სს კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან, სადაც მითითებულია, რომ ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში,აგრეთე იმ დანაშაულისათვის რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.[84]

თავის აზრს ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკობიზნესის კავშირზე გამოთქვამს პროფესორი გიორგი ღლონტი,რომელიც საქართველოს მაგალითზე ამ პრობლემას უარყოფით შეფასებას აძლევს.[85]

თუ ორგანიზებული ჯგუფის რომელიმე წევრი ხელს უწყობს ჯგუფს 260-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ჩადენაში ისე,რომ უშუალოდ არ მონაწილეობს ამ დანაშაულში (მაგალითად,შეატყობინა თანამონაწილეებს,რომ ამ და ამ პირს მიღებული აქვს ნარკოტიკული საშუალების ახლი პარტია და შეიძლება მისი შეძენა), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილეობით(25-ე,260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). დამხმარედ შეიძლება მოგვევლინოს სხვა პირიც,რომელიც არაა ამ ორგანიზებული ჯგუფის წევრი, მაგრამ შეგნებული აქვს, რომ ეხმარება სწორედ ასეთ ჯგუფს ნარკოდანაშაულის ჩასადენაში.[86]

ამ დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ უნდა განვასხვაოთ არაერთგზისი დანაშაულისაგან (260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი).მათ შორის ძირითადი განსხვავება ისაა,რომ არაერთგზისი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა,ისე პირთა ჯგუფმა;არაერთგზისი დანაშაულის ჩადენისას პირებს წინასწარვე არა აქვთ

---

[84] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ40

[85] Georgi Glonti – Human Trafficking: Concept? Classification and Questions of Legislative Regulation. Organized Crime, Trafficking, Drugs. European Society of criminology Helsinki 2003, page 72-73

[86] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ43

გადაწყვეტილი,რომ უნდა ჩაიდინონ რამდენიმე ნარკოტიკული დანაშაული.მათ ახალი დანაშაულის ჩადენის განზრახვა წარმოეშობათ ერთი დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული დროის გასვლის შემეგ.ხოლო ორგანიზებულ ჯგუფს შექმნისთანავე განზახული აქვს ჩაიდინოს არა ერთი,არამედ სს კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშუალი.[87]

როდესაც ორგანიზებული ჯგუფი ჩაიდენს 260-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას განსაკუთრებით დიდი ოდენობით,ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მე-6 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.მაგრამ თუ პირის ქმედებაში არის 260-ე მუხლის როგორც მე-3,ისე მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები (მაგალითად,ჯგუფმა წინასწარი შეთანხმებით უკანონოდ გაასაღა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება), ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სს კოდექსის 260-ე მუხლის მხოლოდ მეექვსე ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტით.[88]იგივე ითქმის ამ მუხლის მე-3 ნაწილზე,რომელიც მოიცავს პირველ და მე-2 ნაწილებს.ასევე ამ მუხლის მე-5 ნაწილზე,რომელიც მოიცავს მე-4 ნაწილსაც და კვალიფიკაცია ერთობლიობით არაა საჭირო,საკმარისია მხოლოდ ბრალდების ფორმულირებაში იქნეს მითითებული ყველა ეს დამამძიმებელი გარემოება,რათა ხელოვნურად არ შეიქმნას დანაშაულთა ერთობლიობა.[89]

თითქმის ყველა ქვეყანაში ნარკობიზნესის განვითარების ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორად ითვლება პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა.ეს დაკავშირებულია ნარკოტიკების წარმოებიდან და გაყიდვიდან მიღებული მნიშვნელივანი ფინანსური რესურსების პოლიტიკური მიზნებისთვის გამმოყენებასთან.საზოგადოებისათვის

---

[87] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ43

[88] იქვე .გვ43

[89] ნ.თოდუა-ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბ.2011 გვ:324-330

ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკულ საშუალებების კონტრაბანდიდან მიღებული ფინანსები ხმარდება იარაღის შეძენას სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული კონფლიქტების გასამწვავებლად და დეზორგანიზაციისათვის.[90]

3.5ნარკოტიკული საშუალების ნებაყოფლობით ჩაბარება

სს კოდექსის 260-ე მუხლს დართული აქვს შენიშვნა:ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას,მის ანალოგს,პრეკურსორს,ახალ ფსიქოტროპულ ნივთიერებას,ფსიქოტროპულ ნივთიერებას,მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას,თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.ჩაბარებას ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს მაშინ,როცა პირს გააჩნია რეალური შესაძლებლობა,გამოიყენოს ეს ნივთიერებები თავისი შეხედულებისამებრ,მაგრამ ამის მიუხედავად,აბარებს მას სახელმწიფო ორგანოებს.აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას,თუ რა მოტივით იხელმძღვანელა პირმა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ჩაბარებისას.[91]

ნებაყოფლობით ჩაბარებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც როცა პირი დარწმუნებულია იმაში,რომ შეუძლია ამ ნივთიერებების გამოყენება თავისი შეხედულებისამებრ.არავინ და არაფერი უშლის მას ხელს და ამის

[90] Georgi Glonti - Problems associated with organized crime in Georgia – Trends in Organized Crime winter 2005 . volume 9 number 2, page 64 Rutgers, New Jersey

[91] თოდუა ნ. გოგშელიძე რ.ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები.თბ 2004.გვ45

მიუხედავად, აბრებს მათ სათანადო ორგანოებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას,პირის ეს ვარაუდი(დაჯერებულობა) რეალურია თუ არა.[92]

ამ შენიშვნას ბოლო დროს (2014 წელს) გატარებული საკანონმდებლო ცვლილებით დაემატა ახალი მე-2 ნაწილი,სადაც ამ თავის მიზნებისათვის ახლებურად განიმარტა ნებაყოფლობით ჩაბარების არსი.კერძოდ:ნებაყოფლობით ჩაბარებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქმედება,როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით განაცხადებს ნარკოტიკული საშუალების,მისი ანალოგის,პრეკურსორის,ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების,ფსიქოტროპული ნივთიერების,მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას.[93]

2014 წლამდე მოქმედი შენიშვნის მიხედვით კი ამ მუხლის შენიშვნის განმარტება შეიძლება სხვაგვარად.კერძოდ, ნებაყოფლობით ჩაბარებულად ჩაითვლება პირის ქმედება მანამ, სანამ იგი არ შეიტყობდა, რომ მის მიმართ დაწყებული იყო სს-ვი დევნა.ნებაყოფლობით ჩაბარებად ითვლებოდა ისეთი შემთხვევაც, როცა პირი დარწმუნებული იყო იმაში,რომ შეეძლო ამ ნივთიერებების გამოყენება თავისი შეხედულებისამებრ.არავინ და არაფერი უშლის მას ხელს და ამის მიუხედავად, აბარებდა მათ სათანადო ორგანოებს.ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭებოდა იმას, პირის ეს ვარაუდი (დაჯერებულობა) რეალური იყო თუ არა.გარდა ამისა, ნებაყოფლობით ჩაბარებულად ჩაითვლებოდა ისეთი შემთხვევაც,თუ პირი სათანადო ორგანოს ანონიმურად ჩააბარებდა სპეც. კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას; პირმა წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით უნდა განაცხადოს სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე.ამგვარი დათქმა არ იყო 2014 წლამდე მოქმედ შენიშვნაში,რაც იმას ნიშნავს, რომ პირს

[92]იქვე გვ45

[93] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ42

შეეძლო თავად მიეტანა შესაბამის ორგანოში ეს ნივთიერება და ზეპირი განცხადებითაც ჩაებარებინა იგი (რა თქმა უნდა, ამის შემდეგ შესაბამისი თანამდებობის პირები ყველაფერ ამას გააფორმებდნენ წერილობით).დღეს მოქმედი რეგულაციით კი პირმა თავად კი არ უნდა წარმოადგინოს ეს ნივთიერება, არამედ ჯერ უნდა განაცხადოს ასეთი წარმოდგენის თაობაზე. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე მიუთითებს შემდეგი კუმულაციური წინაპირობა: „ და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას“. ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ კანონმდებელი პირს უკრძალავს, თავად წარმოადგინოს ეს ნივთიერება სათანადო ორგანოში.მან ჯერ უნდა შეატყობინოს ამ ორგანოს ამ ნივთიერების შესახებ და შემდეგ ხელი შეუწყოს მის ამოღებას შენახვის ადგილიდან.[94]

[94] ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. მამულაშვილი გ. მუმლაძე დ.-სისხლის სამართლის კერძო ნაწილი(წიგნი II)თბ 2017.გვ42

თავი IV

სასამართლო პრაქტიკა

4.1 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

2014 წლის 5 მაისს, საკონსტიტუციო სასმართლოს მიმართა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) თანამშრომელმა , ბექა წიქარიშვილმა.საკონსტიტუციო სარჩელი შეეხება სსკ 260-ე მუხლის, მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობას.

დავის საგანს წარმოადგენდა დიდი ოდენობით მარიხუანას შეძენა-შენახვისთის(მოსარჩელეს ბრალად ედებოდა 69 გრ მარიხუანას, პირადი მოხმარების მიზნით, შეძენა-შენახვისათვის) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელი,კერძოდ კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ კონსტიტუციურობას,საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებთან,ასევე მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე განსახილველად მიიღო მხოლოდ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით,რაც გულისმობს სასტიკი,პატივისა და ღირსების შემლახავი სასჯელის აკრძალვას.

კანონმდებლობაში 2015 წლის 8 ივლისს განხორციელებული ცვლილებით,დიდი ოდენობით (50-დან 100 გრამამდე) მარიხუანას, პირადი მოხმარების მიზნით,შეძენა-შენახვისთვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა შემცირდა და განისაზღვრა 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით (ნაცვლად 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთისა).მიუხედავად ამ ცვლილებისა,მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ არაკონსტიტუციურია, ზოგადად, თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, პირადი მოხმარების მიზნით, მარიხუანას შეძენა-შენახვისათვის და ეს წარმოადგენს არაადეკვატურად

მძიმე,არაპროპორციულ და შესაბამისად, სასტიკ, პატივისა და ღირსების შემლახავ სასჯელს ამგვარი ქმედებისთვის.

აღნიშნულ ქმედებაზე საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა,რამდენად შეესაბამება სადავო ნორმით განსაზღვრული სასჯელი,ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე საზოგადოებრივ საფრთხეს.მიუხედავად მარიხუანას მავნე ზემოქმედებისა,სასამართლომ მიიჩნია,რომ პირადი მოხმარების მიზნით მარიხუანას შეძენა-შენახვისათვის დაუშვებელია სასჯელის სახით, ნებისმიერი ვადით,თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეში სასამართლოს არ უმსჯელია მარიხუანას უშუალოდ მოხმარებაზე და აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაციაზე,რადგან ეს საკითხი არ წარმოადგენდა დავის საგანს.სასამართლომ ასევე აღნიშნა,რომ გადაწყეტილება არ უკავშირდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საქმე ეხება ნარკოტიკული საშუალების გასაღებას, ან გასაღების მიზანს, ან ისეთ ვითარებას, როდესაც შეძენილი/შენახული მარიხუანას რაოდენობა იმდენად დიდია, რომ იგი მაღალი ალბათობით მიუთითებს გასაღების მიზანზე.[95]

4.2უზენაესი სასამართლოს განმარტება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რომლითაც **ერთმანეთისაგან განასხვავა ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა,შენახვა,გასაღების დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები.**

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად , დ.თ-ა რუსთავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ , „ბ“ ქვეპუნქტებით

[95] https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqe-beqa-wiqarishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page

გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.გამოსაცდელი ვადის პერიოდში, 2008 წლის დეკემბერში, მან თურქეთის რესპუბლიკაში უკანონოდ შეიძინა 0,1216 გრამი ნარკოტიკული საშუალება - „კანაფის ფისის“ შემცველი მომწვანო-მოყავისფრო 1,15 გრამი მყარი ნივთიერება,რის შემდეგაც თურქეთის რესპუბლიკიდან გამოემგზავრა საქართველოში და წამოიღო მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული დასახელებული ნარკოტიკული საშუალება. 2008 წლის 28 დეკემბერს საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტ „სარფის“ გავლით მან გადმოკვეთა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, რა დროსაც იგი დააკავეს, ხოლო ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ქურთუკის ზედა,მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ხსენებული ნარკოტიკული საშუალება.

საკასაციო პალატამ გაიზიარა რა ქვემდგომი სასამართლოების შეფასება ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ნაწილში, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ნაწილში არასწორად იყო დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა,შენახვა და გადაზიდვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული).

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს,თუ პირს ადრე ჩადენილი აქვს არა ამ მუხლით, არამედ ნარკოტიკული დანაშაულის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე სხვა დანაშაული,მისი ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკი-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით,მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პირს ადრე ჩადენილი აქვს იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, როგორც არაერთგზის ჩადენილი დანაშაული,ვინაიდან განსახილველი დანაშაულის ჩადენის დროს

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე (საქართველოს კანონის 2007 წლის 4 ივლისის ცვლილება), არაერთგზისობა გულისხმობს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე,საკასაციო პალატამ მსჯავრდებულ დ. თ-ავას

მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა,შენახვა და გადაზიდვა,ჩადენილი არაერთგზის).[96]

[96] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba2.pdf

დასკვნა

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე მსჯელობა მრავალმხრივ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.ნაშრომის ანალიზი გვიჩვენებს,რომ ნარკომანია საზოგადოების ურთულესი პრობლემაა.სახელმწიფო სამართლიანობის უზრუნველყოფის საშუალებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნარკომანიასთან ბრძლის პრობლემას.წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში გამახვილებულია ყურადღება ნარკოტიკული დანაშაულის წარმოშობის ისტორიაზე.საზოგადოების ისტორიული განვითარების პერიოდულად იცვლებოდნენ ნარკოტიკულ საშულაებათა სახეები,მოხმარების და წარმოების მეთოდები,გამომწვევი მიზეზები,ნარკომანიის გავრცელების ფარგლები.ასევე განხილულია ნარკომანიასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტები,კონვენციები და ეროვნული კანონმდებლობა.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისათვის დაწესებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ანალიზს,თეორიული და პრაქტიკული მაგალითების მოყვანით და ნარკოტიკული დანაშაულის მომწესრიგებელი ნორმების განმარტებას ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნების მოშველიებით.ნარკოტიკული დანაშაული გლობარული ფარგლებისაა და მისი აღმოფხვრა ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ნორმატიული მასალა

1.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999 წლის 22 ივლისის, 29.05.2019 მდგომარეობით)

2.საქრთველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების,ფსიქოტროპული ნივთიერებების,პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ (2012 წლის 22 მაისის, 17.04.2019 მდგომარეობით)

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულენოვანი ლიტერატურა

1.ბეროზაშვილი ზ.-ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები, თბ. 2006 წ.

2.ბეროზაშვილი ზ.-ნარკოტიკული ბიზნესინდუსტრია, თბ. 2002 წ.

3.გაბიანი ა. -ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები, თბ. 2012 წ.

4.თოდუა ნ. გოგშელიძე რ. - ნარკოტიკული დანაშაული:სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტიკური ასპექტები, თბ. 2004 წ. გამომ. მერიდიანი

5.თოდუა ნ. - ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბ.2011

6.ლეკვეიშვილი ნ. , თოდუა ნ. , მამულაშვილი გ. , მუმლაძე დ. - სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. II წიგნი, თბ. 2017 წ.

7.მოსულიშვილი ა.-„ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები“ (სადისერტაციო ნაშრომი), თბ. 2009

8.ჯანაშია ჯ.- XXI საუკენის გამოწვევა. თბ. 2002 წ. , გამომ. ინტელექტი

ქართულენოვანი ჟურნალები

1.გიგიტაშვილი ნ. -ნარკოტიკულ დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების მოკლე ისტორია. ჟურნალი „სამართალი“ , №7-8, 1998 წ. გვ. 71-75

2.გიგიტაშვილი ნ. -ნარკოდანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ჟურნალი „სამართალი“ , №5, 1999 წ. გვ. 68-74

უცხოენოვანი ლიტერატურა

1.Georgi Glonti-Human Trafficking:Concept Classification and Questions of Legislative Regulation,Organized Crime,Trafficking,Drugs.Eurioean Society of criminology Helsinki 2003

2.Georgi Glonti-Problems associated with organized crime in Georgia-Trends in Organized Crime winter 2005. Volume 9 number 2. New Jersey

3. Карпец И. И. Конституция СССР и тенденция развития уголовного права.“Советское государство и право“ 1977 №12 с. 42

4. СЗ СССР, 1926, №58, ст. 424

5. СЗ СССР, 1928, №33, СТ. 290

6. И. Н. Пятницкая, „Клиническая наркология“, Л. 1975

გამოყენებული ინტერნეტ მასალა

1. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba2.pdf

2. https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqe-beqa-wiqarishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page